


საქართველო






მ ი ნ ა რ ს ი

ეურნაღ „გეგვილისა“

I	„გავიმარჯვებთ!“ სურათი	386
II	პატარას ლოცვა ლექსი ჯადო გეგვიკორისა	387
III	სიტყვა ერთი, საქმე სხვა	388
IV	მოულოდნელი მეგობრობა ამბავი. ანასტ. წერეთ- ლისა	389
V	სხვისი ბედი. კორეული ზღაპარი ად. ჯორდჯიასა.	394
VI	შინაური ცხოველები (დასასრული) კუდრაჭასი	400
VII	ლოკოკინა ფრანგულიდან. ეფ. დემოლონ-წერეთლისა.	404
VIII	პაწია თინა. ლექსი გ. გარკაძესი.	411
IX	ამირანი. ძველი ამბავი გ. ჭრეჭაშვილისა.	413
X	წამწყმინდა წახედულობამაო	419
XI	თამროს მედიდურობა, სცენები სოფლის ცხოვრე- ბიდან ანეტასი.	420
XII	წვრილმანი: გამოცანები, ანდაზები, გასართობი, ანაგრამა, ზმა, აკროსტიხი, რებუსი და ახსნა	426
—————		
XIII	მგოსანს, ლექსი, გ. რუსაძისი.	429
XIV	ომი, ად. ფაღავასი	430
XV	შვილი თუ იმპერატორი? გვირგვინი? ისტორიუ- ლი მოთხრობა (საბერძნეთის ცხოვრებიდან) იფ. აფსაზიშვილისა (დასასრული)	432
XVI	მფრინავი ობობა. იტა ნაკაშიძისა.	442
XVII	ხიმერა ნატ-გოტორნის ზღაპარი (შემდეგი იქნე- ბა) თარგმანი შუშანიკა ასათიანისა	449
XVIII	დიდებული თეთრი კაცი. ლივინგტონის მოგზა- ურობა (დასასრული) ან. წერეთლისა	456

რედაქცია მოაგონებს ვისაც არა აქვს ფული შემოტა-
ნილი — დააჩქარონ თუ არ უნდათ, რომ მოესპოთ ეურნალის
გამოგზავნა.



ვენში ომია, ემაწვილებო! დიდი
რუსეთი გამოეხარჩლა თავის
მეზობელ--მონათესავე ზატარს
სერბიას, რომლის ხელში ჩაგ-

დებ, დაბეობა უნდოდა ავსტრიას. სხვა ქვეყნებიც
აიძალჩენ და შეიქნა ისეთი ომი, რომელიც დიდი
ხანია არა ეოფილა დედა-მიწაზე. ბევრი სამართლიან-
ნი კაცნი იღუპება. ვისაც კი შეუძლიან ხელში თო-
ფის დაჭერა ეუკლა გაიწვიეს სომარათ, ბევრნი თქვე-
ნისთანა ზატარები დაჩენ უძამოთ, უსახსროთ. თქვე-
ნი გულკეთილობით შეგიძლიანთ მიეშველოთ ჯარში
გასულ კაცის ოჯახს. თითო გრომობითაც გამოდუ-
ბული თქვენი ფული გაუადვილებს მწარე მღკომა-
რეობას უმწეოთ, ობლათ დაჩენილ თქვენ ტოლ
ბავშვებს.

„ჯეჯილის“ რედაქციის კარი ეოველთვის ღიაა
წვლილის მისაღებათ.

(არტილერიას ქუჩა, № 5)





საქართველო

საუმაწვილო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.
ი. დ.

ივლისი და აგვისტო, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1914



გავიმარჯვებთ.



პატარას ლოცვა.



ე, პატარა, ლოცვას მცირეს,
მცირე ლოცვას პატარა მე—
ვიმეორებ გამუდმებით,
ვიმეორებ დღე და ღამე:


ბედნიერი ჭქმენი, ღმერთო!
ღმერთო ჭქმენი ბედნიერი,
დღეს ეველასგან წამებული—
სამშობლო და ჩვენი ერი!

გააგონე სძა გძირების,
გძირების სძა გააგონე;
სამშობლოსთვის თაჯგანწირვა
ეველა ქართველს ჩააგონე!

სასახელო შეჭქმენან ბრძოლა,
ბრძოლა შეჭქმენან სასახელო
და დაისხნან დაჩაგურისგან
ჩვენი ტურთა საქართველო!

მე, პატარა, ამ გვარ ლოცვას,
ამ გვარ ლოცვას პატარა მე;
იქაც ვამბობ, იქაც ვამბობ,
ვიმეორებ დღე და ღამე!

ლადო გეგეჭკორი.



საქართველოს
პარლამენტი
ქართული
ნიპლიოთეკა

85998
F4998
19898



რთხელ ერთმა ბაუაუმა შეკრიბა ევე-
ლა თავისიანები, მასლობელნი და
შორეულნი, გამართა ურილობა. თი-
თონ ძაღლა დადგა წელის ჰირას
და დაუწყო დარიკება თავის დიდ
თავა მსმენელებს.

— ჩვენ ბევრს ვუთმენთ წერო-
ებს და ეარუატოებს, მათგან სიცოცხლე ჩამწარებუ-
ლი გვაქვს და ახლა მე მინდა ერთი რჩევა მოგცეთ,
დაიებო. როგორც კი სამხატვლო წერო მოინდომებს
თქვენ გადაუღანას—ეეღმი გაეჩხირეთ და დაისრჩობა
ის.

სისარულით ბაუაუები აუაუანდენ.

— რა კარგი მოგონებაა! — მოსმასეს მსმენელებ-
მა, — აი წეროც მოეშურება ჩვენსკენ? იძუდია გვიჩვენებ
მაგალითს...

ბაუაუმა გაიხედა, წერო დაინახა და თქვა:

— ჩემი საქმე იყო — რჩევა მომეცა, თქვენ კი
მოიქეცით ისე, როგორც დაგარიკეთ!
და სწრაფლათ ჩახტა წუაღმი.



ქართული
ენციკლოპედია



მოულოდნელი მეგობრობა



აფხუელი ცხელი დაგვიდგა. მე
 გავემგზავრე საზარაკოთ მეოფ
 ერთ ჩემ მეგობართან. ამ აზარაკის
 მდებარეობა მეტათ თვალ
 წარმტაცი იყო: ამას ამკობდენ
 ჭალები, ტყიანი ფერდოები. მოშორებით მოჩანდენ
 ძალაღი მთები, წინ მიუდიოდა მოდუდუნე მტკვარი,
 მახლობლათ გაჰქვიოდა წამ და უწუმ მატარებელი.
 აზარაკები შორი-შორს იუვენ და ჩველა თავთავისთ
 ვის ცხოვრობდა. ჩემი მეგობრის ორი ვოგონა ელო
 და ნინა ძალიან მოწუენილნი იუვენ, მათ ცოცხალ
 ხასიათს ეს მეუდროება არ შეჰფეროდა. დათეთქილებს
 ქალაქის სიცხით და მოქანცულებს მოუსვენარი ცხოვ
 რებით არაფერი არ ესხლისებოდათ, წიგნის სელში
 აღებაც კი ესარებოდათ, ტოლ-ამხანაგები არაზინა



ჭეაუდათ და მათი
 გართობა ის იყო,
 რომ წამ და უწუმ
 გარბოდენ სადგურ
 რზე. სახლში მთუ
 ღლი დღე მომესმო

და: სდობნიობელკი დღესაც არა გვაქვს? კონფეტები
 მამამ რომ მოგვიტანა გათავდა განა?




ამ საბაგრაკოს შორიანლო იყო ქართლის მონარქის დანიძე დიდი და ჰატარა სოფლები. როგორც კი ხალხი საბაგრაკოთ მოიურიდა თავს, — სოფლებიდან ჩამოჰქონდათ გასასყიდათ სხვა და სხვა სანოვაგეები: ლობიო, კვერცხი, ქათმები, კიტრი და სხვა. დილაობით ეს იყო ჩვენი გასართობი. გამყიდველები უმეტესათ იუვენ ჰატარა გოგოები ფეხშიშველი და ჩამოფხრეწილი ჩითის კაბებით. თავდაპირველათ სანამ გაიჩენდენ მუშტარს ამათ მოჰყუებოდა ერთი — ორი მოხუცი დედაკაცი, მერე კი, როდესაც ძაუჯლობა დადგა, მარტო გოგოებს ვხედავდით. მათმა ბელადებმა საოცრათ იცოდენ ანგარიში, არ შესცდებოდათ არც ერთი გროში, განკებაც რომ გვდომოდა მათი არევა — ვერ მოვახერხებდით; ელო და ნინა ყოველთვის ესწრებოდენ ამ ვაჭრობას. გოგოებს დიდი ერთობა ჰქონდათ, ერთი მეორეს ესარჩლებოდენ და თავს არავის აჩაგვრინებდენ. როგორც შევატყუეთ შემდეგ ზოგი გოგო თავიანთ სოფლის სკოლაში დადიოდენ და ამიტომ უფრო კარგათ იცოდენ ანგარიში. ზოგი გოგოები აგროვებდენ ფულს, რომ შემოდგომასე მათთაც ესწავლათ წიგნი.

როდესაც ერთხელ ერთ გოგოს ძაუჯალში მოულოდნელათ მეტი ფული მისცეს, მან უნებლიეთ წამოიძახა:

— ახლა კი წავალ წიგნზე, ზამთრისთვის ჩუსტები მექნება.

— ძვილო, თუ თბილი კაბაც იშოვე, შენ ბედს



ძალიც არ დაჭეუეს, უთხრა შავ მონძებში გასვეულ
მა დედაკაცმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნინამ ერთ წამს გა-
მოურბენა თავისი თბილი კაბა და თან დედანს თვა-
ლი თვალში გაუყარა, სომ არ გამოიჯავრდებო.

ეს გოგოები შეგვეჩვიენ ჩვენ, მეტადრე როდუ-
საც მათელობა დადგა. ჰირდაჰირ ტყიდან ჩვენ კარ
წინ გაივლიდენ და დაბრუნების დროს, როდესაც
გაჭედიდენ მათეობას, ისევე ამ გზით წამოვიდოდენ. ნი-
ნა უთვალთვალეობდა, ისინიც რაღაცას ანიშნებდენ და
კარგა სადილობამდის ვეღარც ელოს და ვეღარც ნი-
ნას ვეღარ ვხედავდით.

ჟერ გვეგონა რომ ემაწვილები მათ უხიდავდენ
საჭმლებს, მაგრამ სახლში არაფერი დანაკლისი არა
ჩანდა. ჩვენც არ გვინდოდა გვეკითხნა. ასე გადიო-
და დრო, ელო და ნინა აღარ გარბოდენ სადგურზე,
აღარ მოისმოდა „სდობნი-ბულკი, კონფეტები. დები
სულ რაღაცას ჩურჩულებდენ, წიგნებს ფურცლავდენ,
რაღაცას დაეძებდენ, მერე ერთათ სადღაც მიდიოდენ,
რომ ვკითხავდით — ამბობდენ: აი, აქ, მანლობელ
ტეეში ვართ, ერთი რომ დაგვიძახოთ იმ წამსვე გა-
ვხნდებით.

ერთხელ ელო მომიჯდა გვერდით, დამიწყო ქარ-
თულ წიგნებზე ლაპარაკი, მთხოვა წასაკითხათ ზა-
ტარბ მოთხრობები; მე ძალიან გამეხარდა რომ სა-
ლისი მოსვლია და ვცდილობდი მიმეცა მისთვის კაი
წიგნები, თანაც მოუყუებოდი კაი ამბების თხრობას;
ისა და ნინა გულ მოდგინეთ მისმენდენ.



სოფლის გოგოები ადრინდელივით სძირსათ მო-
 დიოდენ, მაგრამ ერთი ცვლილება შევაძინე—პირ
 დაბანილები, თქვამ დავარცნილნი იუვენ, კაბები, თუ-
 ცა ათას ადგილას საკერებელი ედო, მანც სუფთა
 ეცვათ.

ერთხელ წვიმაში სოფელმა დედაკაცმა ჩამო-
 გვარა გასაყიდათ ქათმები და მოჭევა გოგოებსე ჩი-
 ვილს, რომ თუცა უველაფერს კარგათ ჭვიდიანო,
 მაგრამ ამ ბოლო დროს მათ დაბრუნებას ველარ ვე-
 დირსებითო. სულ ბინდისას შემოდინ სოფელშიო.

მე რაღაც გავცარე გულში და მეორე დღეს
 ელოზე და ნინაზე ადრე წაველ ტეში წიგნით, რომ
 უმაწვილებს ეჭვი არ აედოთ და მეუდროთ ხეებ ქვეშ
 დაუჭეკ.

დიდი ხანი არ
 გავცადა, მოვიდენ
 კალათებით სელ-
 ში გოგოები, და-
 სსდენ ერთად, ამო-
 იდეს კალათები-
 დან კიტრი, პური
 და ხახვი, შეე-
 ცენ ადრეულ სა-
 დილს. უცბათ სი-
 ხარულით დაიბ-
 ხეს: მოდიან, მო-
 დიან! მაშინვე მიაღბაკს თავიანთი დაცარიელებული



კალათები და მიესალმენ ელოს და ნინას. ნინამ მხი-
არულათ მოიკეცა და უთხრა: მე ერთ კარგ ზღაპარს
გიაზნობთ, დამიგდეთ ეური და მოუყვა თხრობას.
გოგოები აღტაცებით და მხიარულათ უგდებდენ ეურს.
ნინამ რომ ზღაპარი გაათავა უკვლამ სიხარულის კიეი-
ნა დასცეს. მერე ელომ გადაძალა ქართული წიგნი
და დაიწყო კითხვა.

მე ფეხ აკრეფით გავედი მეორე მხარეს და ისე
დავბრუნდი სახლში.

— აი, რატომ აღარ იყვენ მოწვენილნი ელო და
ნინა! გავიფიქრე მე.

ანასტასია წერეთლისა.





სსვიისი ბედი.

(კორეული ზღაპარი)



ყო და არა იყო რა,
იყო ერთი ძლიერ ღა-
რიბი ძეთევსე; რამ-
დენსაც არ შრომობდა,
რამდენსაც არ წვალობ-
და, ის საბრალო, მანც

სიღარიბიდან და გაჭირვებიდან თავი ვერ დაეხწია.
არავითარ საქმეში მას ბედი არ სწეალობდა. გადა-
ისვრიდა რა მისი მეზობელი ბადეს, ბადე აუარბე-
ლი სხვილი თევსებით გაევისებოდა; ჩვენი ძეთევსის
ბადეს კი წვრილი თევსები თუ მოჭეუებოდა ხანდახან
და ისიც სულ ცოტა.

ერთხელ, საბრალოდ, დაიწყო ჩივილი თავის მწა-
რე ხვედრზე:

— რისთვის, რისთვის მერგო მე წილათ ასეთი
ბედი? მწარეთ წამოიძახა მან ერთხელ — ნუ თუ ზეციერმა
ღმერთმა სულ მიმატოვა! ეჭვ, ერთს რომ ვნახავდე
დიდებულ ღმერთს, ზეცის მფლობელს, გამოვკითხავ-
დი თუ რისთვის არ მაძლევს ის მე ბედნიერებას!

ძეთევსის ლაპარაკს შემთხვევით უური მოჭკრეს.

ანგელოზებმა, აუსრულეს მეთევზის თავისი ნატონი დასტაცეს მას ხელი და ერთ წამში აიტაცეს სეცას, და წარუდგინეს დიდებულ ღმერთს.

— რამ მოგიუვანა ჩემთან? — დაეკითხა ღმერთი ამ მოუხატოებელ სტუმარს.

მეთევზე მოჰყვა ვეგლბაფერს, როგორც იყო საქმე.

— გულშიაც არ გამივლია თქვენი შეწუხება, დიდებულო სეცის მფლობელო! თქვენმა ფრთოსანმა მოსამსახურეებმა თვით გადმოგიუვანეს აქ. მაგრამ რადგანაც მე უკვე ვდგე თქვენს ბრწეინვალე თვალთა წინაშე, გვეუბრებით, რომ მომხედოთ და მოწუალება მიბოძოთ. მე დღე და ღამეს შრომაში ვატარებ, ერთი წამი მოსვენება არ ვიცი, მაგრამ ჩემ სიღარიბეს და გაჭირვებას მანაც არა ეშველა რა; დავიღალე ამდენი შრომით, დავიღალე სულ მუდამ სიღარიბეში ყოფნით...

— მერე რა გსურს შენ?

— მომეცი ნება, ბედი ჩემი შემიცვალე. რამდენი ისეთი ადამიანია, რომელმაც არც კი იცის რა არის შრომა და სრული ნეტარებით კი სტკებება. გთხოვთ, რომ მის ბედზე ჩემი ბედი შესცვალათ — დაე ამას იქით მან იშრომოს და მე კი დავისვენებ.

— მე არ შემიძლია ავასრულო შენი თხოვნა, — უპასუხა დიდებულმა ღმერთმა — ბედი თვითეული ადამიანისა ჩაწერილია „ბედის-წერის წიგნში“ ჯერ კიდევ ქვეყნის გაჩენამდე.

ძლიერ დაღონდა ჩვენი უბედური მეთევზე და მწარეთ, მწარეთ ატირდა. და ისე შესაბრალისი იყო ის



ამ დროს, ისე გულ-მოკლულათ ტიროდა და ითხოვდა და შეეკლას, რომ შეებრალა ის ღმერთს.

— კარგი! — უთხრა მან ბოლოს, — მე შენ დაგუნძარები. უველა ადამიანები ერთ დროს არ მოდიან აქ თავ-თავიანთ ბედის მისაღებათ—მე მოგცემ შენ სხვისა ბედს, რომლის ჰატრონი ჯერ კიდევ არ მოსულა მისთვის.

და მოითხოვა ღმერთმა „ბედის-წერის წიგნი“, ფრთოსანმა მოსამსახურებმა საჩქაროთ მიაწავეს ის; მან ჩაიხედა შიგ და უთხრა მეთევზეს:

— აი წაიღე საპაგის ბედი, მას ნაბოძები აქვს დიდი სიძლიერე და ჰატვივი; წაიღე ეს ბედი, სანამ ჰატრონი არ მოსულა მისთვის.

აიღო საპაგის ბედი მეთევზემ და ერთი მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე სწრაფათ ჩამოიყვანეს ის დედამიწაზე ანგელოზებმა.

დილით გამოეღვიძა ჩვენს უბედურ მეთევზეს თავის ღარიბ ქონში. ბევრი ფიქრის შემდეგ ის გადავიდა თავის მეზობელთან; მან სთხოვა მეზობელს სესხათ ათასი მანეთი, მეზობელმაც დიდის სინარულით ასესხა ეს ფული, თუძცა წინათ ერთ გრომსაც არ ენდობოდა.

დაიწყო ვაჭრობა ჩვენმა მეთევზემ და ამ ვაჭრობაში ისე მსწრაფლათ მოუტრიალდა ბედი, რომ ერთი წლის განმავლობაში ის უკვე დიდ მდიდრათ ითვლებოდა. გაქრა ღარიბი, ჩალით დახურული ქონი, მის მაგიერ მან წამოჭიდა მრავალი ქერაბინდით დახურული სახლები, შემოავლო მათ ძაღალი გაღაგა-

ნი, და ისე განცხროძით დაიწყო ცხოვრება, რამდენიმე წელიწადი უკვლავ შურით შეჭურვებდა მას.

მაგრამ ვერ დამძვიდებულყო მეთევზის სულ; დღე და ღამე ჰკანკალებდა შიშით თავის დროულ ბედნიერებაზე; ის ყოველ წამში იმის ფიქრში იყო, ვაი თუ მალე მოვიდეს ის ვიღაცა საპაგია და წამართვას ბედნიერება. და ასეთმა ფიქრებმა ისე მძლავრათ შეიპურა ის, ისე ძლიერათ დაიმონაუა მთელი მისი არსება, რომ ჯავრისაგან ვეღარც სჭასდა, ვეღარც სვამდა და აღარც ეძინებოდა. და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ გადასწვეიტა პირველი შესვედრისთანავე დაუყოვნებლივ მოეკლა საპაგი.

ამ დღის შემდეგ, სსვისი ბედნიერებით მოსარგებლუ მეთევზე, თავიდან ფეხებამდე შეიარაღდა; შეიარაღდა უკვლავ თავისი ერთგული მოსამსახურენი და თავისი სასახლუ მიუდგომელ სიმაგრეთ გადააქცია.

ზაფხულის ერთ სიცხიან დღეს, როდესაც მოუსვენარმა მდიდარმა—მეთევზემ შეუარა დასათვალიერებლათ თავისი მეომარნი, მის ესოდნ მდგარ მარხილის ქვეშიდან უეცრათ მოისმა შესაბრალისი ჭყავილი ახლათ დაბადებულ ბავშვისა.

— ეს რა არის? — გაკვირვებით იკითხა ჩვენმა მდიდარმა.

— ეს საპაგი ტირის, რომელიც შეელას ითხოვს. — უპასუხეს ერთგულმა მსახურებმა (საპაგი კი კორეიულათ ნიშნავს „მარხილის ქვეშ დაბადებულს“).

მეთევზე მიუახლოვდა მარხილს და მის ქვეშ დაინახა საცოდავი, უსუსური არსება; ეს იყო პაწაწე



ბავშვი, რომელიც ძალზე სწოვდა თავისსავე წინტელა თათებს. საბრალო ბავშვი მიეტოვებინა უბედურ დედას, რადგანაც ალბათ არ ჰქონდა მისი გაზრდის საშუალება.

მთელი გროვა ფიქრებისა მოულოდნელათ დაუტრიალდა ჩვენ მდიდარ მეთევზეს თავში. ის დიდხანს სმაგაკმენდილი დასცქეროდა ობოლ ბავშვს. შემდეგ ამოიოხრა და წარმოსთქვა:

— მაშ შენა ხარ ჩემი საშიშარი მტერი?! მაშ შენს წინააღმდეგ შევიარაღდი თავიდან ფეხებამდი, შენი გულისათვის დაჯიქირავე ამოდენა მეომარნი და შენი შიშით ვერ ვპოულობდი ერთ წამს მოსვენებას?! ეს შენა ხარ, რომელიც ისე მძაგდი, რომ შენი მოკვლაც კი განვიძრახე? და რისთვის ეველა ეს? იმისთვის, რომ ასეთი პაწაწა და უმწეო ხარ, რომელიც ასე ობლათ დარჩენილხარ და გინდა საჩუქრო, გინდა მოვლა ისე, როგორც ყოველივე სულდგმულს?

შერცხვა მდიდარს თავისი ბოროტი და საძარცხვინო განძრახვისა და სინანულის ცხარე ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან.

მან ფრთხილათ აიყვანა ხელში უპატრონოთ მიტოვებული ბავშვი, მკრათ ჩაიკრა გულში და აღტაცებით წარმოსთქვა:

— არა, მე შენ არ გაგწირავ, ნუ გეშინია, ჩემო პატარავ! შენ იქნები ჩემი ვაჟიშვილი და შენი ბედნიერება იმავე დროს ჩემი საკუთარი ბედნიერებაც იქნება.

ღრმა მოხუცებულობამდის მიახწია ჩვენმა
თევსემ; განუშორებლათ ცხოვრობდა მასთან მისი
შვილობილი საზაკი და მასთან ერთად მისი მშვი-
დობიანი, უწეინარი ბედნიერებაც.

ალ. ლორდელი.

(თარგმანი)



შინაური ცხოველები


(დასასრული)



ზილოზე იმდენი რამ არის მოთხრობილი, რომ არა ერთი დიდი წიგნი დაიწერება. დედაძიწაზე სწილო ეველასზე დიდი ცხოველია და ამასთანავე ეველასზე კეთილი და ერთგულია. არსად არ არიან ისეთი დიდი სწილოები, როგორც აფრიკაში. აქ ადამიანები თავიანთ სასარგებლოთ ისე სოცავდენ, რომ მთავრობა იძულებული გახდა აეკრძალა მათი ხოცვა. აფრიკაში სწილოებს არ აშინაურებენ. შინაური სწილოს სამშობლო არის ინდოეთი. ინდოეთში გარეული სწილოებიც ბევრი, მაგრამ გამოცდილი მონადირენი იჭერენ იმათ და ძალიან ძალე აშინაურებენ. სწილოზე ღონიერი ცხოველი არ მოიპოვება ქვეყანაზე და ძალიან ბევრი მუშაობაც შეუძლიანთ. სწილო იმდენათ კეთილი და უწყინარია, რომ ინდოეთში ბავშვების მოსაველეათაც ჭეხვთ. ხშირათ დედები აბარებენ თავიანთ შვილებს და ისინიც გამდელივით ეურს უგდებენ. სწილოს შიშით არც ერთი გარეული ცხოველი ვერ გაბედავს მაშინ მიეკაროს იმ არეშიადადამოს.

როგორ მიაწოდა ერთხელ სწილომ წამალი ავათ-მყოფ ჯარისკაცს—აი რას მოგვითხრობენ:

„ცეილონის კუნძულზე ერთ საავათყოფოში ჰყავდათ დაშინაურებული სწილო. როდესაც ექიმები დილა



დილაობით ავათყოფებს ათვალიერებდენ, ეს სწილოც თან დაჰყავდაო სოლმე. სწილო სშირათ შედგა და, ავათყოფები როგორ სვამდენ და ჭელაზავდენ სსვა და სსვა წამლებს. ერთ დილას ავათყოფ ჯარისკაცს გადასაულაზი აბები იატაკზე დაუვარდა. სწილო ერთ წამს თავის სორთუძით დასწვდა წამალს, ჩაუდო ჯარისკაცს ჰირში, მერე ისე ჩაჰბერა, რომ შიგ ეანურატობი ჩაუგორა ეს აბები და ისე გდააულაზი ჰვინა. გარეული სწილოები სეების ფოთლებით და ბალახით იკვებებიან. სეებიდან ფოთლებს თავისი გრძელი სორთუძით ჰკლევს. ბალახს კი ეშვებითა თხრის. წეალს სორთუძით ისრუტავს და მერე ჰირში ჩაისხამს სოლმე. როდესაც ბუხები აწუხებენ, ის მოსწევეტს დიდ ტოტს, სორთუძით აიღებს და ძარახავით სმარობს და იმითი იკერებს ბუხებს.



ეროვნული
დიდი ლეგიონი

სწილოს ჰირის აქეთ-იქით ორი დიდი ლეგიონი აქვს გამოშვერილი (ეშვები). სანდახან ეს ეშვი სუთ ფუთამდის იწონის. სწილოს ძვლიდან ბევრ სხვა და სხვა ნივთებს აკეთებენ და ეს ნივთები ძალიან ძვირათ ფასობს. საზოგადოთ სწილო, როგორც მუშა და ადამიანის ძეგობარი უფრო დასაფასებელია, ვიდრე მისი ძვალი. დასაგმობელი და გასაკიცხები არიან ის მონადირენი, რომელნიც ნადირობენ სწილოებსე ძვლისთვის და უმოწყალოთ ხოცვენ მათ.

ეშვები სწილოს მარტო ბაღასის სათხრელათ არა აქვს, ის სძირათ ეშვებით მტრებს იგერებს. სანდახან სწილოს ლომი ან ვეფხვი დაეცემა, მაგრამ მას აკრე რიგათ ვერ შეაშინებენ. თუ მტერს ერთხელ მაინც ჩაჭკრავს ეშვს, ნამდვილათ დაამარცხებს.

თვალები სწილოს ძალიან ჰატარა აქვს, მაგრამ მხედველობა კი კარგი. ენოსვაც საუცხოვო აქვს და სძირათ უნახავთ კიდევ, როგორ იგნებს გზას ბრმა სწილო. სწილოს არა აქვს უკანა ფეხები ისე მოწყობილი, როგორც სხვა ცხოველებს და ამას იშვიათათ თუ ვინმე შეამჩნევს. ცხენს ან ძაღლს უკანა ფეხები ისე ეკეცება, რომ დაწოლის დროს ფეხებს ქვეშ შეიკეცავს, სწილოს კი უკანა ფეხები ჩვენსავით წინ ეკეცება, ისე რომ დაწოლის დროს, სწილო უკანა ფეხებს უკან გაიშვერს. ბუნებას რომ სწილო ასე არ გაეჩინა, მაშინ სწილო ვეღარ მოახერხებდა ადგომას, რადგან ძალიან მძიმე ტანი აქვს.

სწილოს ძალიან კარგი მენსიერება აქვს და არასოდეს არ ივიწყებს არც სიკეთეს და არც სიბოროტს.



ტეს. ერთხელ სწილომ წელით გაწუნა მკერვალი, რადგანაც მან ნემსი უჩხვლიტა სორთუმში.

აქლემი შინაურ ცხოველთა შორის მეტათ სასარგებლოა. მარტო აქლემს შეუძლია ხანგრძლივი მოგზაურობა უწელო, ქვიშიან უდაბნოებში. ვერც ცხენი და ვერც სხვა შინაური ცხოველი ვერ გაუძლევენ ამ გვარ მოგზაურობას. მეტადრე როდესაც ქარი ჭქრის უდაბნოში და ცხელ ქვიშას ჰიშში აფრის. მხოლოდ აქლემი უძლებს ამას, სხვა ცხოველი დაიხრჩობოდა მაშინვე. აქლემს ისე აქვს მოწეობილი ნესტოები, რომ ქარისა და მტვრის დროს ნესტოებს ისე მაგრათ დაიცობს, რომ მტვერი ფილტვებში არ ჩადის.

განსაკვირველია თვითონ აქლემი როგორც სძლებს დიდხანს უწელოთ. აქლემი ისე დიდხანს ემსახურება ადამიანს, ისე დიდხანს მოგზაურობს მასთან ერთად, ისე შეჩვეულია, რომ თავისუფლებაც რომ მისცეთ, ის მაინც არ მოშორდება უდაბნო ადგილებს.

კუდრაჭა.



საქართველოს
საბავშვო
ბიბლიოთეკა

1986

ლოკოკინა.

ლისტენბერგეს მოთხრობიდან „პატარა ტროტი“ *).



ედამთელი დღით სხვაგან წავიდა. ტროტი რომ სახლში მარტო არ დარჩენილიყო, მასწავლებელ ქალს, ინგლისელ „მისს“ სთხოვეს ეს დღე მასთან გაეტარებინა. ტროტს ბევრათ ერჩია მარტო ყოფილიყო, მოსამსახურე ქალსთან ერთათ, მაგრამ მას არც კი არავინ ჰკითხა რა ერჩია და რა არა.

„მისი“ ბაღის ბოლოში ზის, გრძელ სკამზე, და ინგლისურ წიგნს ჰკითხულობს; დიდ ცხვირზე სათვალეები აქვს წამოცმული, წიგნის ფურცლებს სულ მანქანასავით ერთგვარათ აბრუნებს და სასე ისე უძრავათ აქვს, თითქო სისავან იყოს გამოჭრილი.

ტროტმა ბევრგვარათ სცადა რომ ეთამაშნა და გართულიყო, მაგრამ დღეს რაღაც არაფერი არ ეხალისება; ახლა თავის ჰატარა ბაღს მიუახლოვდა და უურადღებით ათვალაერებს; მისი ჰატარა ბაღი დიდი ბაღის ერთ კუნჭულშია მოთავსებული; მანც და მანც კარგათ მოვლილი და გასუფთავებული არ არის; შიგქვებიც ჰურიან, ხილის ნათლებიც, ხის ტოტებიც; ბაღასი დაბალი და თხელია; ეველა ეს მას დიდათ არაფრათ ამშვენებს, მაგრამ ის მანც ძალიან ლამაზად

*) ეს მოთხრობა დაჯილდოვებულია აკადემიის მიერ.

ზია, რადგანაც მის შუაგულში დიდი ვარდის ბუჩქია ამართული; ეს ვარდის ბუჩქი ტროტს კი არ დაურგავს, უწინაც იქ იყო; სწორეთ მშვენიერება რამ არის, მწვანე, გაბარდნილი; ხანდახან ზედ ვარდებიც კი გაიფურჩქნება ხოლმე; აი, დღესაც მის კინწიროსზე საუცხოო ვარდია გადაშლილი; ტროტი მას კარს უგაღის და ეოველი მხრიდან სიამაჟით და აღტაცებით მისჩერებია; რა ლამაზი, რა ტურფა რამ არის ეს ვარდი!

უცნაოტ ტროტმა თვალები დააჭეიტა, ჰირი და ადო, მთლათ გაწითლდა და ერთ აღაგას გაშეძდა. ეს რა არის? რა სასიხდრობაა!

ვარდზე ლოკოკინაა, საძაგელი ლოკოკინა! თავისი სოკოირი ზურგზე წამოუკიდნია, არსეინათ დასეირნობს და ირგვლივ სველ კვალს აჩნევს; ხანდახან შეჩერდება სოლმე, თავს იქითაქეთ აბრუნებს, რქებს იმოკლებს, ჭმაღავს, მერე ისევე აჩენს, იგრძელებს, ამოდრავებს; სწორეთ ისე იქცევა, თითქო თავის საკუთარ სახლში ბრძანდებოდეს.



ტროტი ერთ ხანს ხმა-ამოუღებლივ აკვირდება მას, მერე საზარლათ გაჭკივის:

— ოჰ, მისს, შეხედეთ ერთი ამას!

„მისსი“ თავის გრძელ ცხვირს ძაღლა სწევს, წიგნს ჭხურავს, იღლიის ქვეშ იდებს და საძი-ოთხი დიდი ნაბიჯით ტროტს უახლოვდება.

— რა ამბავია?

ტროტი სიზღით უთითებს ლოკოკინას. მას სჯ. მინლათ ესარება ამნაირი ცხოველები.

„მისსა“ თვალებს ძირს ჭხრის და ლოკოკინას დასჩერება.

— ეს ლოკოკინაა.

ეს ტორტმაც კარგათ იცის.

— ეს ცხოველი მხუნებელია მცენარეებისთვის. ნებას გაძლევეთ მოსწოთ იგი.

ტროტი ძალიან კმაყოფილია ამ ნებართვით, ძაგრამ ლოკოკინას ხელის სლებას მანც ვერ ჭბედავს, მეტათ ესიზღება იგი.

— მისს, თქვენ თითონ რომ აიყვანდეთ, ის არ ეჯობინება?—მოწიდეებით ეკითხება ტროტი.

— რატომ მე და არა თქვენ? —სასტიკათ უპასუხებს „მისსა“—ეს ცხოველი თქვენს საქონელსეა, თქვენი საქონელი კი თქვენ თითონ უნდა დაიცვათ.

ტროტი სუნეშის. მან კარგათ იცის, რომ, როცა მისსმა რამე თქვა, წინააღმდეგობა ტუუილია; ის კრძალვით სწვდის ხელს, ისევ უკან მიაქვს იგი... ბოლოს სოკერსე თითოს ადებს ლოკოკინას. ოჰ, ბედნიერება! ლოკოკინას შეეშინდა და მთლათ თავის სოკერში შეიძალა, აღარაფერი აღარ უჩანს, არც თავი, არც რქები. ტროტი თავისუფლათ ისუნთქებს; მაგრამ ამნაირი ცხოველები მანც არ უგვარს, არა, სულ არ უგვარს. რა უნდა უქნას ახლა ამას? როგორ მოიძოროს თავიდან? მოდი ღობეს იქით გადის სვრის, მესობლის ბაღში! ჭო, ეს ძარბულა კარგი ახრია!

ტროტმა ლოკოკინას ხელი წამოავლო, მკლავი მოიძარჯვა და ის იყო უნდა გადესროლა, რომ „მისსმა“ უეცრათ მკლავში ხელი სტაცა და სასტიკი ხმით გამოუცხადა:

— აკრძალულია საკუთარი სიკეთის სხვის უბედურებაში მოხოვება. ეს ცხოველი მეზობლის მცენარეებს შესწამს. უსამართლობაა მისი იქ გადაგდება.

— მამ რა ვუყო?

— გასრისეთ თქვენს ფეს-ქვეშ.

ტროტი ეოუძანით დასჩერებია ლოკოკინას. გასრისოს? არა, არა, არ შეუძლია. ახლავე გული ერგვა იმას რომ წარმოიდგენს, როგორ გაიტკაცუნებს სოკური მის ფეს-ქვეშ და როგორ გაიშრება მიწაზე ცხოველის რბილი ტანი. თითქო სხვანაირათ არ შეიძლება მისი მოკვლა! მაგრამ რანაირათ? აი, მაგალითათ, ჭაში რომ ჩაგდოს, ხომ დაიხრჩობა! ჭო, ეს სწორეთ ეველაფერს აჯობებს.

ტროტი ემზადება თავისი გადაწვევტილება სისრულეში მოიყვანოს, მაგრამ კმაყოფილი მანც არ არის. საწუაღმა ლოკოკინამ, კარგათ რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი, რა დააძავა, რისთვის უნდა მოჰკლას? ის თავც.სთვის დასეირნობდა და ვინ იცის რა ბედნიერათ გრძნობდა თავს მზის სხივებზე რომ თბობდა და ლამაზ ვარდზე გემრიელათ სადილობდა. კი მაგრამ ვარდს რომ აფუჭებდა? სჭამდა მას, მაშასადამე, უნდა დაისაჯოს. ვითომ ძართლბ უნდა დაისაჯოს? უჭმელათ ხომ ცხოვრება არ შეუძლია. და უნდა სჭამოს, მამ რა უნდა ჰქნას? ავუგულობით,



ვარდის გასაოხრებლათ კი არ დაცოცავდა სულ, არა, იმიტომ დაცოცავდა, რომ შიოდა, სარჩო ეჭირვებოდა, და ამ სარჩოს იქ ეძებდა, სადაც შეეძლო. ამის გულისათვის მოკვლა განა სამართალია?

ექ! მაშ აბა რატომ ჰკლავენ ძროხებს, ცხვრებს, ხბოებს და საცოდავ ჰატარა ბატკნებს, რომლებიც ისე გულსაკლავათ ბღავიან? ან ტუის ლამაზ ფრინველებს, რომლებიც ისეთ მხიარულ ჰანგებს სტეკენენ სოლმე? ისინი არა სჯობიან ლოკოკინას? და ლოკოკინასი არ იუოს, არც ისინი ახდენენ რამეს ავ-გულობით. ჰკლავენ კი მათ, მაშასადამე...

და ტროტმა მკლავი ხელახლა მოიძარჯვა, რომ ლოკოკინა ჭისაკებს გადესროლა; მაგრამ ისევ შეჩერდა; და უძრავი ხოკერი ისევ მაგრათ ეჭირა მუჭაში.

ჰო, მართალია, ეველა ამ ცხოველებს ჰკლავენ, მაგრამ იმიტომ, რომ ისინი სასრდოთ არიან საჭირო, შესაჭმელათ. ეს რომ არ იუოს, ძალიან ცუდი იქნებოდა მათი მოკვლა. ტროტს კარგათ ახსოვს, როგორ დაუწითლა ერთხელ მამა მისმა ეურები ერთ ავ-გულა ბიჭს, რომელსაც ქვით ჩაექოლა ერთი საბრალლო ჩიტი. რა გულმოსული იყო მაშინ მამა! ჩიტები სომ ხილს ჰკენკავენ და აფუჭებენ! ძროხები და ცხვრები ბალახს და ლამაზ ევავილებს ანადგურებენ. ამას წინათ ტროტმა თავისი თვალით ნახა რომ ერთმა ძროხამ სულ ცოტა ორმოცდაათი ჰატარა თეთრი ევავილი მანც ამოჰკლიჯა ერთი ენის მოსმით. ამის და მიუსედავათ მისი სიკვდილით დასჯა



მანც უსამართლობა იქნებოდა, და ლოკოკინას სომ
 ამის ფასიც კი არა დაუშავებია-რა!

ტროტი დაჟინებით ჭეიქრობს, იკვლევს, სჯის...
 და ვერაფერი ვერ გადუწევებია. სამაგელ გუნებაზე
 არის, აგერ-აგერ იტირებს. ახლა მას ჭკონია, რომ
 დიდ ცოდვას ჩაიდენს, თუ თავის გულის წურომას
 დაჭეუება და ლოკოკინას მოჭკლავს. მაგრამ სომ არც
 ის შეუძლია რომ ამ საზისღარ ცხოველს თავისი
 მშენიერი ვარდი და სხვა უვაკილებიც შეაჭამოს?

ის ცდილობს საქმე სამართლიანათ გასაჯოს,
 სწორ გადაწვევტილებას დაადგეს... და სულ ახალი
 და ახალი მოსაზრება იბადება მის ჰატარა თავში.

ცხვრის მოკვლა—ავაკცობაა, მაგრამ თუ შესჭამ
 მას—ეს ავაკცობა აღარ არის. ლოკოკინას მოკვლაც
 ავაკცობაა, მაგრამ თუ იმასაც შეს...

ტროტი შეშინებული, შემწუნებული დასჩერებია
 ხოკერში შემალულ ცხოველს. არა, არა, ეს შეუძლე-
 ბელია, შეუძლებელი!..

„მისს“-ი შორი-ახლოდან დაცინვით თვალს ადევ-
 ნებს ბავშვს; წიგნი კალთაში უდევს, ილაძება და
 ძველ კამათლებსავით გაუვითლებულ კბილებს აჩენს;
 მას მეტათ ახალისებს ტროტის ეოქმანი; ნეტავი რი-
 თი გათავდება უველა ეს!

გაიარა კიდევ რამდენიმე წუთმა, და აი...

უეცრათ „მისს“-ი ისე წამოვარდა ზეზე, თითქო
 ვისმეს მისთვის უკან ქინძისთავი შეერჭოს; მან დაი-
 კივლა და ტროტისაკენ გაჭქანდა, ძვირფასი წიგნი ხე-
 ლიდან გაუვარდა...

რა მოხდა?

ის, რომ მოულოდნელათ, სწრაფათ და გაღაწევეტით ტროტმა ლოკოკინა ჰირში ჩაიტყნა და თვალვლებ-დასუჭულმა გადაჭულა იგი.

— ოჰ, ტროტ, ეგ რა ჭქენით! ეგ როგორა ჭქენით! რა საზისღრობაა! რა საძაგლობაა! — ნაწევეტ-ნაწევეტათ, გაფანტვით იმეორებს „მისს“—ი.

ტროტი უძრავათ დგას და მძვირათ იცდის, რომ წურომის ქარბისალმა გადაიაროს. მთელი მისი უურადღება იმაზეა მიქცეული, თუ იმის მუცელში რა ხდება; თავს მოსვენებით ვერა გრძნობს, მუცელში თითქო რაღაც ინძრევა, თითქო რაღაც მოძრაობს... ვინ იცის, იქნება ლოკოკინა დასეირნობს! ამ ფიქრზე ტროტს გული ერევა...

მაგრამ არა, ვათავდა. აღარაფერი ინძრევა, არც მოძრაობს. უთუოთ ლოკოკინა მონელებულია. და ტროტი თავის ჰატარა ბაღს უბრუნდება, ღამაზვარდს ასლა ორკეცი სიუვარულით შესწერებია და თავს ძალიან აძაყათ გრძნობს, რომ მისი სიმძვე-ნიერე დაიფარა და თან არც მისი მტერი იმსხვერზლა უსარგებლოთ.

ელ. დემოლონ-წერეთლისა.





კაწია თინა.



თუცა ცელქობს, მაგრამ სწა-
ვლით
ეოხაღია ჰაწა თინა,
შრომა უეუარს, თვის ძაღ-
ლონეს
არ დასოგავს სწავლისთვინა!.

მიტომ იყო რომ სუთებით.
გადავიდა შექმდე კლასში,

ეველას იგი უეუარდა და...
ეველა იყო მის ქებაში!..

ზაფხული რომ მიიწურა—
სწავლისათვის დაჭკრეს ზარი!..
აი თინაც სკოლისაკენ
გაემართა ჰირ-მცინარი'..

უხარია თინას, რომ იქ
ნახავს თავის მეგობრებსა...
ასაღ ამბების მოუუკება
ჰაწაწინა მეგობრებსა. .

ეტევის: როგორ გაატარა
მან ზაფხული წრეგანდელ წელს..



თუ რაკვარათ შეეჭრეოდა
 მწვანეთ მოსილს ძთაძინდორუელს!


აგრე, აგრე... სკოლისაკენ!..
 ზაწაწინა მეგობარო,
 რომ ქვეყანას არგო სწავლით
 და მშობლები გაახარო!..

ვ. გორგაძე.



ამირანი.

(ძველი ამბავი).



რთ სოფელში ცხოვრობდენ სამნი ძმანი, სიღარიბემ ძალიან შეაწუსა და საშველი ვერაფერი ვერ იღონეს-რა. ბოლოს გადასწევიტეს იმ სო-

ფლიდან აერილიყვენ და სსვანს სადმე ეძებნათ სარჩო. მოიღაპარაკეს, მოიმხადეს საგზალი და გაუდგენ გზას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გავიდენ ერთ ტრიალ მინდორსჲ; დასდენ ერთ წუაროს პირსჲ და დაიწეეს საუბარი. ბოლოს უფროსმა ძმამა სთქვა: — ძმებო, ესლა რაღა ვქნათ? აი ეს სამი პური-ლა გვაქეს და ეს ამოტენა ტრიალი მინდორი წინ გვიძევს გადასვლელი. საშუალმა უპასუსა: მეკი აღარა დაგვრჩენიარა უნდა შინ დავბრუნდეთ.

უმცროსმა თქვა: — არა, ძმებო, შინ დაბრუნებას ისევე შიძძილით სიკვდილი გვირჩევენია. ვინ რას იტყვის, სარჩოს საშოვნელათ წავიდენ და ისევე ცარიელები შინ მობრუნდენო. აი ლაპარაკი და ბაასში რომ იყვენ, უეცრათ საიდან-ლაც ერთი მოსუცი წამოადგათ თავს. — გაძარჯობათ შვილებო, რა კაი დროს.



თარგმანი
დოქტორის

შემხვედით. შიშხილმა შემაწუხა, ჰური გექნებათ, გულისთვის, ნუ დამიჭერთ. უფროსმა შესედა და უწასუხა:—აი მოხუცო ჩვენი საგძალი ეს არის, და უჩვენა სამ ჰურსე, — შენ რომ მოგცეთ აქედან ჩვენც შენი დღე დაგვადგება. სამუალო ძმა დაეთანხმა უფროსს ძმას და იმანაც უარი განაცხადა. დაღონდა მოხუცი, მიაჩერა ცრემლ მორეული თვალები უძცროს და შეკითხა: „შენ რაღას იტყუი შვილო“? უძცროსმა ძმამ უწასუხა: — ძმებო, ეგ სამი ჰური ჩვენ არაფერს გავკვინდება, გინდ გვქონია და გინდ არა. მოდით ამ ღვთის სტუმარსაც უნაწილოთ და შემდეგ რაც მოგვივც, ისეთაც არ აგვცდება და, თუ არ დამეთანხმებით, გთხოვთ ჩემი სვედრი ჰური მომცეთ. ძმები დაეთანხმენ, მისცეს უძცროს ძმას თავისი ერთი ჰური, იმან მაშინათვე გადატეხა ჰური და მიაწოდა მოხუცს. უფროსმა ძმებმა მალე გაათავეს ჰური. უძცროსმა ძმამ თავის სტუმრით სჭამეს რამდენიც უნდოდათ და კიდევაც დარჩათ. შემდეგ შეუდგენ ისევ გზას. მოხუციც აედევნა ძმებს. გავიდენ ერთ ველსე, შეჭხედეს ერთ მშვენიერ ქალაქს. უჰ! რა კარგია, სთქვა უფროსმა ძმამ: „ეგ ქალაქი რომ ჩემი იყოს რაღა მომკლავდაო“ ნატვრა და ასრულება ნატვრისა ერთი იყო. გასდა უფროსი ძმა იმ მშვენიერი ქალაქის ჰატრონი. დარჩენ ორნი ძმანი და მოხუცი. გაიარეს კიდევ რამდენიმე მანძილი, კიდევ დაინახეს ქალაქი. ეს ქალაქი ჰირველსე უმშვენიერესი იყო. სამუალობა ძმამ ამოიოხრა და სთქვა: „ნეტავი ღმერთმა მეც ჩემი უფროსი ძმის ღირსი გამხადა და ეგ ქა-



ეროვნული
ლიბრერი

ლახი ჩემი ჰქმნა და მე რაღა მომკლავდაო“ იმასაც
 აუსრულდა ნეტვრა. დარჩენ უმცროსი ძმა და მოხუ-
 ცი. მიდიან გზას, მოშივდათ ჰური, სჭაბენ და კიდუ-
 ვა ჰრჩებათ. კარგა სიარულის შემდეგ მოხუცმა ჰკით-
 ხა უმცროს ძმას: „შვილო, შენმა ძმებმა სთხოვეს
 უფალს და აგერ როგორი მდიდრები გახდენ და გა-
 ნა შენ რაღა შესცოდე უფალს, შენც მსთხოვე რაძე“.
 — ეჰ! ძამაო! აბა რა ვთხოვო უფალს? მე სიმდიდრე
 უშრომით მოპოებული არ მინდა, მე მინდა შრომით
 მოპოებული ღუკმა, იმაზე უტკბესი არა არის რა,
 მინდა ცოლი ძევანდეს ერთგული, იმაზედ სასიხარუ-
 ლო არა არისრა, სახლი მქონდეს ისეთი, რომ
 ვინც მოვიდეს ჩემს კარს — ჰატვიისცემით წავიდეს,
 იმაზე სასიქადულო არა არისრა. „ოჰ! შვილო, რა
 კარგი რამ გენატრება, მსოლოდ ვეკლა ეც ცოლის
 კეთილ-გონივრებაზედ არი დამოკიდებული და სწო-
 რეთ მაგ-გვარი საცოლე დღეს იწერს ჯვარს და აბა
 მიეშურე. აჰა, ეს ჯოხი და გასწია“. უმცროსმა ძმამ
 გაძმართვა მოხუცს ჯოხი და გაუღვა გზას. მოხუცი
 მაშინაოვე უჩინარი შეიქმნა; მივიდა სოფლის ბოლოს,
 სადაც უნდა მომხდარიყო ქორწილი, დაისვენა ერთ
 ხის ძირში, მოეობა ძილი და მიწვა. საღამოზე გა-
 მოეღვიძა, ხედავს ეკლესიას გაჩაღებულს და მოესმა
 რაღაც სმაურობა. გასწია ეკლესიისკენ. დაინახა ჰა-
 ტარძალი და იმისი დედ-ძამა საშინლათ შეწუსებულ-
 ნი და მტირალნი. გამოჰკითხა მიზეზი და გაიგო,
 რომ მეფეს ჰატარძალი მოეყვანა ეკლესიაში ჯვარის
 დასაწერათ და ეკლესიაში უარი ეთქვა. ემაწვილმა გა-



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ნუცხადა თავისი სურვილი ქალზე და დედამისის
ძრიელ გაეხარდათ. გამოუცხადეს მღვდელს, მღვდელ-
მაც კანონიერათა სცნო ქორწინება, მაგრამ ვერ იმო-
კვს ხეხასწერი. ამ დროს ეკლესიაში შემოვიდა ვი-
ლაც მოხუცი. მღვდელი მიესალმა მოხუცს, ჰკითხა
ვინაობა, მოხუცმა უპასუხა: მე მათხოვარი განლა-
ვართ და სახელათ „ამირანი“ მეწოდებაო. სთხოვეს
მოხუცს ნათლიაობა. მოხუცი სინარულით დასთანძმ-
და. გადიხადა უმცროსმა ძმამ ქორწილი. შემდეგ ქორ-
წილისა მოხუცი გამოეთხოვა მეფე-პატარძალს და წა-
ვიდა თავის გზით.

გავიდა რამდენიმე ხანი. მკსაზრმა მოხუცმა
მოინდომა ენახა ვეგლა ძმები, თავისი თანამოგზა-
ურნი, როგორ და რანაირათ ატარებდენ ცხოვრე-
ბას. აიღო ჯოხი და შევიდა უფროსი ძმის სასა-
ხლეში. ითხოვა მოწებალება, მაგრამ მოწუალე-
ბის მაგიერ, მიუსიეს ძაღლები და სულ სორცები
ავლეჯინეს, როგორ თუ ჩვენდა დაუკითხავათ აქ შე-
მოხვედით. მოხუცმა გადიქნია ჯოხი და ქალაქი
მტვრათ იქცა თავის მცხოვრებლებით.

გაემკსაზრა მეორე ძმასთან. შევიდა სასახლეში და
ითხოვა წუალი. წელის მაგიერ მიუსიეს ძაღლები და
სულ გააწეწინეს, როგორ თუ ჩვენდა დაუკითხავათ აქ შე-
მოხვედით. გადიქნია იქაც მოხუცმა ჯოხი და ის ქალა-
ქიც მტვრათ აქცია.

წავიდა უმცროს ძმასთან. საღამო იყო, ციო-
და საშინლათ. ჰსედავს მოხუცი ერთ მინდორ-
ზე მშვენიერ ხის სახლს. მშვენიერ ბაღს. მივი-

და ეზოში, დაინახა ზატარა მოცანცაღლე ბავშვი. ბავშვმა შენიშნა თუ არა მკვარე, გაექანა დედისკენ და შეატეობინა. დედა გამოეშურა სტუმრისკენ და სთხოვა სასლში მობრძანებულიყო. მოხუციც მიესალმა. მასწინძელიც ძაღვ მოვიდა. დაჭხადეს ფეხთ, დაჭხადანეს ხელ-ფეხი და გაათბეს. გაუძახინძლდენ რითაც შეიძლებოდა ესიამოვნებინათ სტუმრისთვის. შუა ვახშამზე მასწინძელს ღვინო შემოაკლდა, გაგზავნა ცოლი ძარბანში ღვინისთვის — ბავშვიც დედას თან გაჭყევა. ღვინის ამოღების დროს დედას უცბათ ბავშვი ქვევრში ჩაუვარდა და დაეხრჩო. რა ექნა საწყალს. უჩუპარის ჰიროთ, რომ სტუმარს არ გაეგო მათი მწუხარება და მით არ მიეყენებინა უსიამოვნება, ამოიღო შვილის გვაძი ქვევრიდან და იქვე კუნჭულში დაასვენა. ამოიღო სხვა ქვევრიდან ღვინო და ის ის იყო უნდა კარებისაკენ გამკვარვებულიყო — ძარბანში შემოვიდა მასწინძელი თავის სტუმრით. ქმარმა ჰკითხა ცოლს: „ქალო, რატომ გვაცდევინე, რატომ დროზე არ მოგვიტანე ღვინო?“. ცოლმა არაფერი უთხრა. მოხუცმა შენიშნა კუნჭულში გვაძი და გაექანა მისკენ. დაჭხედა ბავშვს და მიუბრუნდა მასწინძელს. „შვილო, აი მიზეზი დიასახლისის დაგვიანებისაო“. ცოლ-ქმართ ერთმანეთს შეჭხედეს და თვალეში ცრემლი მოერიათ. მოხუცმა ანუგემა ისინი. გადასწერა ცოლ-ქმართ ჰირ-ჯვარი, გადასწერა გვამსაც ჰირ-ჯვარი და მოხუცი უცბე გაქრა. ბავშვი წამოვარდა ხეზე და მოესვია დედას. დარჩენ ერთხანს უსიტყვოთ ცოლ-ქმარ-




ნი, მაგრამ ძაღვ გონს მოვიდენ და მიჭხვდენ, რომ მათი სტუმარი უბრალო ვინმე არ იყო. ქმარმა უამბო მოსუცი მკსავრის ამბავი ცოლს და ორივემ დასკვნეს, რომ ეს ნამდვილათ ჩვენი სენასპერი „ამირანი“ იყო და შვილსაც იმის მოსავონებლათ მეტი სახელი „ამირანი“ უწოდეს. სცხოვრობდენ ცოლ-ქმარნი მშვიდობით და თავისი სტუმართ მოუვარეობით აკვირვებდენ ქვეყანას. ხალხიც ამბობდა: „ამ კაცს სახლი ხისა აქვს და წუალობა ღვთისაო“.

გ. ჭრელაშვილი.





წამწმინდა წახედულობაძაო.



უცნა, ჰატრონ, ლამაზი
ძამწმინი ძლიერ უგვარდა
თავის ჰატრონ ჰეტრე
ძებაღეს და უოველთვის
თან დაჭყავდა. ერთხელ
ბაღში მუშაობის დროს

ჰეტრემ შორი ახლოს გველი დაინახა. ცუცნა შიშით
აცანცანდა და ჰატრონს მსრებსედ ააცოცდა. ჰეტრემ
ბარი დასთხლიძა მცურავს და იქვე გააძეძა.

ძეორე დღეს ცუცნა ბაღში დაცუცუნებდა. ჰეტრე
კი უგავილებს რწეავდა. ცუცნამ უცებ წელის მოელ-
ვარე მილი დაინახა ბალახებში, ეგონა გველიაო,
კაიქცა კუთხეში მიუდებული ბარი აიღო, მოარბე-
ვინა, დასთხლიძა მილს, ლულიდან წელის შადრეგა-
ნი ამოსკდა და საბრალო ცუცნა თავით ბოლომდე
გალუმძა. ძამწმინი შეკრთა, ბარი ხელიდან გაუმძა
და საწეალს ფეხსედ დეეცა. ფეხ ნატკენი, გალუმძუ-
ლი ცუცნა მთლათ კანკალებდა და ამბობდა: „წამ-
წმინდა წახედულობაძაო“ დღეიდან ვუციცამ ჩემ გამ-
ჩენს ადამიანებს აღარ მივბაძამ და ჩემის ჭკუით ვი-
ვლიო და ბუზღუნით გასაძრობლათ მხის გუღზედ
გაგორდა.



თამროს მედიდურობა.

სტენები სოფლის ცხოვრებიდან.

მიამქმედნი ჰირნი:

თამრო—ღვდლის ქალი (14—15 წლისა)

პელაგია—თამროს მამიდა (შუახნისა)

გლეხის დედაკაცი—(ახალგაზრდა).

სოფლის გოგოები—(9)

სოფლის ბიჭები—(12)

(ერთ სხლის კედელთან ღხინი აქვთ. დარა და მუსიკას უკრავენ. ერთი ბაჭა მარჯათ გახტება, ციბრუტივით შემოტრიალდება, გოგოს თავს დაუკრავს, ცეკვავენ. იგინი რომ გაათავებენ, მეორე გოგო დაუფლის, თავს დაუკრავს მესამე გოგოს, გოგო უარს ნიშნათ თავს იქნევს, მოცეკვავე კიდევ დაუფლის, ხელახლათ დაუკრავს თავს იმავე გოგოს, გოგო შინც არ გადის. მეოთხე გოგო უკანადან მოუფლის, ჰკრავს ხელს და წრეში შეკვდება. გოგო გაშლის ხელებს, ცეკვავენ. ერთი გოგო დაინახავს მომავალ თამროს, სხვა გოგოებსაც მიახედებს თამროსკენ. ღხინი გაჩადებულა, ტაშს უკრავენ. თამრო შორი-ახლო მედიდურათ გაჩერდება. გოგოები ღხინს შესწევებენ).

გამოავლა ა.

იგინი და თამრო.

(გოგო-ბიჭები სთითათთ მიდიან თამროსთან, თავს უხეშათ უკანტურებენ, ხელს ართმევენ. თამრო ამპარტყანულათ, უკან დაწევით, უნებურათ ხელს აძლევს. ერთი გოგო უცბე გაქანდება, თამროს ხელებს მოხვევს და ჩაჭკონის. თამრო უკმაყოფილოთ მოიშორებს. მეორე გოგო თამროსთან ახლო მივა და თამროს კამფუტის ყუთზე დახატულ ქაღის სურათს აშტერდება. მერე თამროს მოწიწებით ხელს ჩხუცავს).

თამრო. (ცხვირ-აწევით) ფუ, იქით, სუნი ავღის.

გოგო. უი, გუშინ დავაროცხე, ძმა არ მომიკვდეს!

(ბიჭები შორდებიან).



მესამე გოგო. (კეკის დეკვით, თითქმის სვეწნით) თამრო, ჩვენ თადიარისეულ ვენახში წამობძანდი, გენაცვალე, ისეთი, ისეთი გვიმწიფს ჭერამი, რო სუ ზედ აღნება.

თამრო. ლიზიკო, განა კვლავინდებურათ კიდევ უნდა ვირობინო ხოლმე თქვენთანა? მე ესლა დიდი კაცის ქალი ვარ, მამაჩემმა დიდკაცობა დაიმსახურა, დღეობა გაუმართეს. თუ ჩემი პატივისცემა გინდა, სახლშიაც მომართმევ.

გოგო. რატომაც არ მოგართმევ შინა, რაო, ესლავე ისეთ სავსე კალათს მოგიბრებინებ, რო ერთი კვირაც ვერ გაათავო. (გარბის, ფეხს წამოჭკაკავს და კენესით დატემა დედამწასზე, სწრაფლათ წამოხტება თვალ-ცრემლიანია, სახე დადრეჯილი თამროს შესედავს, ნაძაღაღევათ იღიმება. მარჯვენა ფეხის ტერზე სისწლი სდის. თავშალის უურებს დაიჭერს და კოჭლობით გარბის. შოკადან მხარზე შედგმულ სველი კოკით დედაკაცი მოსჩანს. დედაკაცი რომ თამროს დაინახავს, კოკას სიჩქარით ძირს დასდგამს და დიმილით თამროსკენ გაეშურება).

გამოსვლა ბ.

თამრო, გოგოები, დედაკაცი.

დედაკაცი. (ხელს ჩამოართმევს, უნდა რო პირზე აკრფოს, მაგრამ თამრო მოარიდებს) ხომ მშვიდობით ბძანდებით?

თამრო. გმადლობთ, კარგათა ვარ.

დედაკაცი. ღმერთმა ნურა დაგიშოთ-რა. ამ ზაფხულს სულ აქ დარჩებით, თუ ღიდედასთან წაბრძანდებით?

თამრო. (ამოოხვრით) დიდედასთან რაღას წავალთ, ის მოგვიკვდა.

დედაკაცი. საწყალი, ქა, რა დიმართნია, ღმერთმა აცხონოს. მაშ ნათლიჯალაბი მწუხარე იქნება. სალამოზე მოვახსენებ სამძიმარს.

თამრო. დედა ისევ ქალაქშია.

დედაკაცი. როდის მობძანდება?

თამრო. ერთი კვირის შემდეგ.

დედაკაცი. ნათლინ?

თამრო. არ ვიცი, ესლა-კი სხვაგან დიდკაცის ცხედარზე მიიწვიეს.

ერთი გოგოთაგანი. თამრო, ითამაშებ, ლხინი რო გავაჩალოთ?



თამრო. (ამხარტაყუნუღათ თავს გაიქნევს) არა. **ერტი გოგოთაგანი.** რატომ თამრო, თუკი წინათ თანს

შობდი ხოლმე?

თამრო. აკი გითხარით, მაშინ სხვა იყო მეთქი. ეხლა მე თქვენთან თამაშობა, ამხანაგობა აღარ შემშვენის.

დედაკაცი. რატომ არ შეგშვენის, ნათლიის ქალო, ეხლა რალა?

თამრო. იმიტომ რომ მე ეხლა დიდი კაცის ქალი ვარ, ეგენი-კი გლეხები.

დედაკაცი (წყენით) განა გლეხები კი ადამიანები არა ვართ?

თამრო. (დაცინვით) მაშ შენ და დიდი კაცი ერთნი ხართ?

დედაკაცი. კიდევაც რომ ერთნი ვართ. ე სული ხო ერთნაირი გვიდგია. (თამრო იცინის) ტყუილათ იცინი, ნათლიის ქალო, ისა თქვენი როცა მობძანდებამ ხოლმე საყდარნი-რათ გვიქადაგებს, ერთმანეთი გიყვარდეთო, მოწყალენი იყა, ვითო, გლახაკს განიკითხავდეთო?

თამრო. ღვდლის წესი ეგრეთია, ხალხი უნდა დაარიგოს ხოლმე.

დედაკაცი. შენ ისე ბძანებ, თითქოს ხუცესმაც ჩვენ უნდა მოგვატყუოს ხოლმე.

თამრო. კი არ უნდა მოგატყუოთ, საეკლესიო წიგნებში აგრე სწერია.

დედაკაცი. საეკლესიო წიგნებში განა ისა სწერია — სხვა დაარიგეო და შვილებს ნუ ასწავლიო? ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. (კოკას მხარზე შეიდგამს და მიდის, თამროც გაბრუნდება, მიდის, ხან შესდგება, კამუეტებს აჩქევს, ქადაღდს აცდის, სჭამს. დედაკაცი მოშავად ჰქადაგებს შესვდება, ერთმანეთს თავს დაუკრავენ, დედაკაცი კოკას ჩამოიდებს და აღშოფთებულო რადაცას ელაპარაკება).

გამოსვლა 8.

გოგოები.

ერთი გოგო. მოდით ვიკენქაოთ.

ყველანი. ვიკენქაოთ, ვიკენქაოთ.

მეორე გოგო. რაზე იყოს?

მესამე გოგო. თითო ღექა ახალ კევეზე. (გოგოები დასთანხმდებიან და ირგვლივ დასხდებიან. ორი გოგო ჯობიდან კენჭებს ამოიდებენ, ხუთ კენჭს აჩრქევენ).

გოგოები. (ეგრიან) მე უნდა დავიწყო: არა, ჯერ მე უნდა დავიწყო. ვერ მოგართვით—უწინ მე უნდა დავიწყო.

ერთი გოგო. მაშ უჩუკელა ვთქვათ.

გოგოები. ვთქვათ, ვთქვათ. (ზელავია თამროს შორიდან შეჩერებს, თამრო იქვე სხლას ხეხილს ქვეშ შესდგება, ხეს ზურგიით მიუყრდნობს. კამფეტების ჭამით).

ერთი გოგო. ჯერ ამხანაგები ავირჩიოთ. (არ-არო შე-სმხანავლებიან).

გოგოები. (ერთი-მეორეს არ აცლიან) მე და შენ ვიყვნეთ, ნატო. მე და ან-თა როცა ამხანაგები ვართ, მოვიგებთ ხოლმე. მე კეკელას შეუამხანავდები. მეც საბედოს ამხანაგი ვიქნები.

ერთი გოგო. აბა, ხელები დააწყეთ, გოგოებო! (მარჯვენა ხელს მიწაზე დაწეობენ. მეთაური გოგო დაინთქებს. მარცხენა ხელს დედამიწაზე დასდებს, ხოლო მარჯვენა დაწეობილ ხელს მუშტს ადებს და ამბობს): უჩუკელა, უნძრევლა, ხელი, გაუსწორებელა, სისხლის, დენა, ხორცის, გლეჯა, ყალია, ყურ. (რომელსაც უკანასკნელი სიტყვა შესდგება, ის იწეებს კენჭაობას. თათვას რომ აკეთებს ასრფლილი კენჭი ხელს ასდგება და ძირს დაფარდება).

პირველი გოგო. ჰე, ვერ გააკეთე თოფა! (შეჭვირიებს ნიშნის მოკებით).

მეორე გოგო. (თითქმის უსვენებლივ, ზედი-ზედ ამბობს) აქიქინდით კვერცხებო, ძირს ჩამოდით კენჭებო; აქიქინდით კვერცხებო, ძირს ჩამოდით კენჭებო; ძირს ჩამოდით კენჭებო; ძირს ჩამოდით კენჭებო! (მოკენჭავს ჩამოკაფის დროს ერთი კენჭი დაჭვარდება).

პირველი გოგო. (ადტაცებით, ნიშნის მოკებით) მოგხვდა, ვერც შენ ჩამოკაფე!

(კენჭაობენ. მესამე გოგო კარგათ შეასრულებს და კენჭებს მეთხე გოგოს გადასცემს).

გამოსვლა დ.

პელაგია და გოგოები.

პელაგია. (მიუახლოვდება გოგოებს, გოგოები წამოხტებიან) გოგონებო, წამომყვივით ერთი! (გოგოები მისდევენ).



გამოსვლა II.

პელაგია, გოგოები, თამრო.

პელაგია. (თამროს) თამრო, ამ გოგოებისთვის კამფეტები არ გითავაზებია?

თამრო არა.

პელაგია. მაშ ეხლა მიეცი.

თამრო. (ურთებს კამფეტებს. გოგოები ხარბათ ათმევენ კამფეტებს, ზოგი ჯიბეში ინახავს, ზოგი მაშინვე აცლის ქაღალდს და სჭამს).

გამოსვლა III.

იგინივე და ლიზა.

ლიზა. (კოჭლობით და ქაქანით შიარბენს, ჭერმით სავსე კაღათა ხელში უჭირავს. ფეხას ცერი ჩვრებით აქვს შეხვეული, კაღათს თამროს აწვდის, პელაგია ძიარს დასდგამს კაღათს, თამროს ანაშნებს, რომ ღიზსაც მისცეს კამფეტები. თამროც აძლევს. წყლანდელი გოგო, რომელიც დასცქეროდა უფთს ეხლაც მივა ახლოს და თვალები დაჭყეტილი დახატულს დასჩერებია).

პელაგია. (თამროს) ყუთი ამ ქალს აჩუქე, მოსწონს. (თამრო მისცემს. გოგო გამოსტაცებს და აღტაცებული შეჭკაივლებს).

გოგო. უი, და, და, და, და! (აკრებს ნახატს და უფთს ჩაიკრავს გულში).


პელაგია. თამრო, ფული თუ ზედა გაქვს ლიზას მიეცი ათი შაური ხილი რომ მოგიტანა, პატრივი გვცა, (თამრო ჯიბიდან ამოიღებს ათი შურანს და მისცემს ღიზს. გოგო გაბრწვნილებულ თვალებით დაჭყურებს ფულს). აი, ხედავ ფეხშიშველია. ამ ფულით ჩუსტებს იყიდის, ეკალი და გარობები ფეხებს აღარ დაუჩხვლეთენ.

თამრო. დიდდა ვედოკიამაც იცოდა, როდესაც წამლებს და ნაცვამებს აძლევდა გლეხებს, იგინიც ძღვენებს მიართმევდენ ხოლმე.

პელაგია. და შენც ხომ ლიზამ, რომ ხილი მოიტანა, სამაგიეროთ ფული მისთავაზე?

თამრო. (თავს დაიქნევს) დიახ.

პელაგია მე დარწმუნებული ვარ რომ შენ თითონ მოატანებდი ქერამს და კი არ გიფიქრნია გასამრჯელოს მიცემა. (თამრო დარცხვენიალი დახრის თავს).



თამრო. მართალია, მე თითონ მოვატაინე ლიზას კერამი, ასე მეგონა მამას რომ დღეობა გადაუხადეს ყველა ბრძანებლობა გამივიდოდა.

პელაგია. მაგ მედიდურობას თავი დაანებე. იმას რომ დღეობა გადაუხადეს ამით შენ გაბედნიერდი. ამ საწყლებს კი რა შეემატათ?

თამრო. ვეცდები, მამიდას მზემ, აღარავის ვაწყენინო.

პელაგია. (გაბრწყინებულ სხსით გრძნობით ჩაიკრავს გულში თამროს და აქერსიანათ აკრცებს შუბლში). ბარაქოლა გენაცვალე, იცოდე თამრო, — შენ თუ თავდაბალი იქნები, შენ მაგალითის სხვებიც მბიადვენ. აბა ეხლა ყველას გამოეხალმე, ლიზას მადლობა გადაუხადე კერამი რომ მოგიტანა და წავიდეთ სახლში.

თამრო. ჯერ მე არ წამოვალ მამიდა, ლხინს გავაჩაღებთ.

პელაგია. (ხასიაშოვნები) კარგა ილხინეთ. (კაჯათს აიღებს, თამრო არ ანებებს).

თამრო. თქვენ ნუ შესწუხდებით, მამიდა, მე რომ წამოვალ წამოვიღებ.

პელაგია. არა მიშავს რა მე წავიღებ, შენ იქნება დიდხანს დარჩე აქ. (შიდას კაჯათით).

თამრო. აბა, ლხინი გავაჩაღოთ.

(გოგოები მოხაზუღნი საღხინოთ გაემართებიან).

თამრო. აქ ვილხინოთ, აქა სჯობია. (ორი გოგო გააქცევა დაირა-ბუზიკის მოსატანათ, დაუკრავენ, ტაშს აყოფებენ. თამრო დაუფლის ლეკურს, გაიწვევს ერთ გოგოს, ცეკვავენ. სხვა გოგოებიც ემატებიან).

ფარდა.

ანეცა.





გამოცანები.

ტყემ გამზარდა სიყვარულით,
მიპატრონა, არ მიმტერა,
კაცმა მომქრა, გადამაგდო,
ცეცხლით გამანაცარმტვერა.

ლამ ღამობით მოვფრინდები
და დავგორავ მიწაზეო,
დილით იმ წამს გაფფრინდები,
როგორც გამოჩნდება მზეო.

ცაში მაქვს ბინა სამკვიდრო,
არვის ვეკიდო ბარათა.
გამოვაცოცხლო საითაც
გადავებკურო ცვარათა.

ან დ ა ზ ე ბ ი.

კაცმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არა გაქვს,
მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო.

ვირის ყროყინს ნუ გააჯავრებ.
თორემ მისი ყურები გამოგებმისო.

კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაადრჩოო.

დედ-მამა შვილისთვის კვდება, შვილი კი მარტო თავის-
თვისაო.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ორი კალმის გასმით დახატეთ შემდეგი სურათი: ღობე,
ღობეს იქით ეტლი, ეტლში სამი ცხენი აბია, შიგ ოთხი
კაცი ზის, მეეტლე მათრახს უქნევს ცხენებს.



ა ნ ა ზ რ ა მ ა .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ.)

პირველი ხალისიანათ
გლახს ამუშავებს მამულში,
დედა მიწისა მოკეთე,
საჭირო არის ზაფხულში.
მეორეს ჩქარა ჩამოსთვლით,
ხელს თითი მოგემატებათ.
ორივე ოთხი ასოთი
საგანათ დაგეხატებათ.

ზ მ ა .

(წარმოდგენილი მისგანვე)

ლადომ ხალიჩა ნახირში ორგვართ მაიხმარაო,
ჩუმათ რახიელს გადასცა გერისთავს გაიპარაო.
არ მაზიანა მითომა ხევები გადიარაო,
რალა მე ჩამომადონა, მტერი კი გაახარაო!

ა კ რ ო ს ტ ე ხ ი .


(წარმოდგენილი მისგანვე)

არ დაივიწყებს ქართველი,
რადგან ხატია გულისა,
ჩვენ მოგვცა მაგალითები,
ჯერ ქვეყნის სიყვარულისა.
ოხრავდა, გზა რომ ენახა,
რაიმე სიხარულისა.
ჯანი და ძალა შესწირა,
არ ჰქონდა ნანვა სულისა.
ძაძებით გამოესალმენ
ერი ქართველთა რჯულისა..




რ ე ბ უ ს ი .

ვინ ვერ
ხედავს?



ს 100, ე



ა



ს 2,



ვანა



ბ



გამოცანებისა: ტიკი, მღინარე, პეპელა.
 შარადა: ფაფარი.
 ზმა: ტოტი, კენი, მელა, ენა, ბერი.
 რებუსი: ვირიდან ამოვარდნილს ცხენზე არ შეეჯდომება.





მგოსანს.



ვიმა სკრის... ფო-
თოლ ყვავილებს
ყურს მარგალიტი
ჰკილია...

დედა — ბუნების სიუხვე —
აურაცხელი. დიდა!

არ შურს ქვეყნისთვის ტკბილი რძე,
ნექტარს გულ-მკერდით ატარებს,
უხვათ აწოვებს ყოველ არსს,
ვით დედა თავის პატარებს!

მგოსანო! შენცა ბუნების
შვილი ხარ, მისებრ კეთილი:
ქვეყნის წყლულს წამლათ ედები,
მის კირ-ვაზამზე შექმნილი!

ვ. რუხაძე.





ანა არის ისეთი ადამიანი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, რომ არ აღელვებდეს ის დიდი მოვლენა, რომელიც ეხლა იშლება ჩვენ თვალ-წინ, საშინელი და შეშხარავი, მას მოაქვს უბედურება და ტანჯვა, იტაცებს ათასობით საუკეთესო მამულის შვილებს. ამ მოვლენას ჰქვიათ ომი. აგერ მეორე თვეა. რაც იღვრება სისხლი, იკარგება ადამიანი.

იქ, შორეულ პატარა ქვეყანას, სერბიას, რომელიც მთელ თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობაში იბრძოდა ამ არსებობის დასაცველათ, დიდმა ავსტრიამ გამოუტყადა სიკვდილსიკოცხლის ომი. ეს ომი სერბიისათვის ნიშნავს ან არსებობას, ან დაღუპვას. აღარ იქნება პატარა სერბია. რუსეთმა, რომელიც ყოველთვის შეელოდა სლავიანებს (სერბია — სლავიანების ქვეყანა) გამოეხარჩლა სერბიას.

ავსტრიის მხარე დაიჭირა გერმანიამ, იმ გერმანიამ, რომელმაც წარმოშობა შილერი, გიოტე, ვაგნერი, კანტი, რომელმაც გაამდიდრა კაცობრიობის სალარო, და შესძინა მას საუკეთესო განძი გონებისა, ხელოვნებისა. იმ კულტურულ ქვეყანამ, რომლისაგანაც ჩვენ ვსწავლობდით, ვიძენდით საუკეთესო სიმდიდრეს — გონების განვითარებას. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ არასოდეს, ეს გერმანია უკვდავია, სათაყვანებელი. მეორე გერმანია — გერმანია მილიტარიზმისა და გაძლიერებული მუშტისა, დასაგმობია ყველასაგან და აი ამ გერმანიამ მოინდომა შეეღება დედა-მიწა სისხლით. საფრანგეთიც და ინგლისიც ჩაერივნ ამ გამწვავებულ ომში, დაეხმარნენ რუსეთს. ჩვენ ვხედავდით, როგორ იბრძვის აუარებელი ხალხი, რომ დაუმტკიცოს ავსტრიას და გერმანიას, რომ პატარა სერბიასაც ნება აქვს იცოცხლოს. შემდეგ კი ომის საქმე სხვა ნაირათ დატრიალდა, სხვა და სხვა სახელმწიფოების მოთხოვნილებები შეეჯახნ ერთმანეთს და საქმე გართულდა.



უძველეს დროიდან ომი იყო საშინელება, ეხლა კი მის გამოსახატათ სიტყვაც არ მოგვებოვება. რომ საკმარისათ და-
ვახასიათოთ ეს მოვლენა. უწინდელი დროის ტეხნიკა, და
ეხლანდელი განირჩევა, როგორც თეთრი შავისაგან. უწინ
ომი გრძელდებოდა 30-50 წელი, ეხლა კი საკმარისია ერთი
დღე, კვირა, თვე, რომ ომის ველზე დარჩეს ნახევარ მილიონ-
ნი ხალხი—მთელი ერთი პატარა სახელმწიფოს მცხოვრებლე-
ბი. საკმარისია, რომ განადგურდეს და გაფუჭდეს ისეთი ქვე-
ყნები, როგორც მაგალითათ ლამაზი ბელგია, ეს მრეწველო-
ბის და მუშაობის საუკეთესო მასწავლებელი.

ომი არის საშინელება, ბევრმა ეცადა ლიტერატურაში
დაეხატა ჩვენთვის ომის სურათი, უკვდავმა ტოლსტოიმ და-
გვიტოვა საუცხოვო აღწერა ომისა, მაგრამ ომში ნამყოფნი
იციანიან, როდესაც მოუყვებით ომის საშინელებაზე ლაპარაკს,
ვისაც ომი არ უნახავს, თუ გინდ გენიოსის კალამი ეჭიროს
ხელში, ვერ გაგვაგებინებს მის საშინელებას. ადამიანის გო-
ნებას არ შეუძლია შეეთვისოს მას, გაივოს იგი.

გათავდება ომი, შესრება ცრემლები, განოყიერდება მი-
წა ადამიანის სისხლისაგან, ცხოვრება აუცილებლათ შეიცვ-
ლება, ასე ყოფილა ყოველთვის, ყოველ ომის შემდეგ, შეიც-
ვლება უკეთეს მომავლისათვის, ეს იქნება მერმე, ეხლა კი
ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გამოვსტკევათ უღრმესი გაკვირვება
იმ გმირების წინაშე, რომელნიც ღვრიან სისხლს, იქ შორეულ
საზღვარზედ და რამდენათაც შეგვწევს ძალ-ლონე დავეხმა-
როთ მათ და მათ ოჯახს.

აღ. ფალავა.






შვილი

თუ იმპერატრიცას გვირგვინი

(ისტორიული მოთხრობა ა. კონან-დოჟისა)

II

დედის გული



თეოდორას გულში ჯოჯოხეთი დატრიალდა—საშინელი ბრძოლა სწარმოებდა. კარგათ იცოდა, რომ ეს ლამაზი ვაჟი მისი ღვიძლი შვილი იყო—ხორცი ხორცთაგან და ძვალნი ძვალთა მისთაგან! დედის გული ამას კარგათ გრძნობდა, სულ მთლათ შვილისკენ ივლტოდა... მაგრამ იუსტინიანე?!

თეოდორამ ისიც კარგათ იცოდა იმპერატორი რა უცნაური კაცი იყო. იუსტინიანემ სრულგვით დავიწყებას მისცა თეოდორას ცხოვრების წარსული, რომელიც მან თავის იმპერატორობითი დეკრეტით წარხოცა—განბანა და განასვეტა. ამ დეკრეტში მთელის იმპერიის საცნობლათ ნაბრძანები იყო, რომ „ძალითა და ნებითა ჩვენითა, ახლათ დაიბადა საყვარელი მეუღლე ჩვენი თეოდორა“...

გვირგვინოსანნი მეუღლენი უშვილონი იყვენ და მაშასადამე, ამ ვაჟის, სხვითა შვილის დანახვა იუსტინიანეს გულს ძლიერ ატკენდა. იუსტინიანეს შეეძლო დავიწყებოდა თეოდორას წარსულში გატეხილი, უნამუსო სახელი, მაგრამ რო-

დესაც თავის თვლით დაინახავდა, რომ ეს საძრახისი წარსული განხორციელებულა მშვენიერი ვაჟი შვილის სახით, ამას კი ვგრას გზით ვერ მოითმენდა, ვერ აპატიებდა... ვერ მოიკრეფდა იმდენ სულგრძელობას, რომ აქაც თავი მოეტყუებინა, — მითომ-და არ არსებობს ის, რაც რო ავალით სჩანს, აშკარათ მოწმობს...

დღედაცის გულმა სწორი აღლო აილო, იმ გარემოებით, რომ თეოდორა ახლოს იცნობდა იმპერატორს, შესწავლული ჰქონდა რა აზრების და ქკუის კაციც იყო.


წამსვე უკარნახა იმპერატორმა იმპერატორივს, რომ ამ შემთხვევაში მას ვერ უშველიან ვერც მისი მომჯადოებელი სილამაზე და ვერც ის საშინელი გავლენა, რომლითაც ის ყოველთვის სარგებლობდა.

და ისიც ვინ იცის, იქნება ამ შემთხვევის გამოაშკარებით მთელი მისი დიდებაც უეცრათ დამსხვრეულიყო...

იუსტინიანესთვის იმდენათვე ადვილი იქნებოდა განქორწინება, რამდენათაც ადვილი იყო მისი ამადლება თავის სამეფო ტახტამდე. თეოდორას ბედი ყოველთვის მაღალ სვეტზე ირჩეოდა, რადგან მკვიდრი საფუძველი არ ჰქონებია, და, მაშასადამე, რამდენათაც უფრო მაღლა იყო ასული, იმდენათ უფრო ძლიერი იქნებოდა მისი ძირს დაცემა.

ქვეყნიერებაზე რასაც კი თეოდორას გული მოისურვებდა, ყოველივე მის ფერხთა ქვეშ ფიანდაზათ იფინებოდა. მერე ვის და ან რას უნდა ანაცვალოს ესოდენი თვისი დიდება?! ან კი რისთვის, რის გულისთვის გასწიროს, გაიმეტოს? ნუ თუ იმისთვის, რომ ღირსეულათ ვერ მოიქცა, ლაჩრობა, გულ ჩვილობა გამოიჩინა!.. ანუ იმისთვის, რომ უეცრივ მის გულში იფეთქა რაღაც უგუნურმა დედობრივმა სიყვირულმა, რომელიც ჯერ დღეს დილითაც კი მიყუჩებული იყო?! ნუ თუ მას, იმპერატორივს თეოდორას, ვანსაცდელში უნდა ჩაეგდო თავის თავი და ესოდენი დიდება და ბედნიერება გაეწირა რაღაც მოჩვენებულ ლანდისთვის!? აი ამას ფიქრობდა, ეს აზრები ტრიალებდა თეოდორას თავში, როდესაც მას თავს დასჩხავლა ყურადღებით სავსემ შავმა სახემ:

— მოძეცი თუფლება, მომანდეთ ყოველივე მე!..



— და ეგ იქნება შავი სიკვდილი? — ჰკითხა თეოდორას.

— სხვა ყოველივე საშიშო არის — მოახსენა საჭურისმა — ხოლო უკეთეს თქვენი მოწყალე გული მეტის-მეტათ ლომობიერია, ენის მოკვეთა და თვალების დათხრა საუკეთესო საშუალებაა და თანაც...

თეოდორას გული შეუწუხდა, კვლავ ბალიშებზე გადაესვენა. თვალ წინ წარმოუდგა წითლათ გავარვარებული რკინა, როცა მისი ვაჟის მშვენიერ თვალებს უახლოვდებოდა. ამ საშინელი ჯალათობის სურათის წარმოდგენით თეოდორა მთლათ აკანკალდა...

— არა, არა, სიკვდილი სჯობს მაგ წამებას!.. მაგრამ... ოხ, ღმერთო ჩემო...

— თქვენ ყოვლათ ბრძენი ბრძანდებით დიდებულო იმპერატრიცავ — მოახსენა საჭურისმა — მაშ დეე იყოს სიკვდილი. მხოლოთ სიკვდილი სპობს ყოველივე მოსალოდნელ შიშს, სიკვდილშია სრული დუმილი და სამარადისო მყუდროება.

— მერე, ბერ-მონაზონი?

— ეგვც...

— მერე, უწმინდესი სინოდი? ეგ ხო ხარისხოვანი მღვდელია. რას იტყვის პატრიარქი?..

— ჯერ ხმა ჩააკმენდინეთ, ენა დაუბით, მერე რაც ნებავთ ის მოიძოკმედონ. თუ არა და ჩვენ, კარის კაცთ, ნუ თუ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ შეთქმული ავაზაკი, რომელსაც სახელოში დამალული ხანჯალი უპოვეს, განა საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ეს შებოჭილი ბოროტ-განმზრახველი სწორედ ის კაცი იყო, ვისი სახელიც მან თავის თავს უწოდა!..

თეოდორას კვლავ საშინელმა ყრიამულმა დაღარა მთელს ტანში და ბალიშებში ღრმათ ჩამალა თავი.

— თქვენო დიდებულებავ! თქვენ ამ საგანზე ხმას ნუ-ღა ამოიღებთ, ნუღარას იფიქრებთ — ემუდარებოდა საჭურისი — მიბრძანეთ მხოლოთ რო მე მავალებთ, მე მანდობთ მთელ ამ საქმეს. მაგრამ არა, არა, თუ რო თქვენ ძალა არ შეგწევთ ამის საპასუხოთ, მაშ მხოლოთ თავი დამიქნიეთ ნიშნათ თა-

ნახაობისა და ჩემთვის ეკეც სრულებით საკმარისია — ყველაფერი მითქმის
ფერს დღესვე მოედება ბოლო.

თეოდორა ღრმა ფიქრებში იყო წასული... მას თვალ
წინ წარმოუდგა ყველა თავისი მტრები, ძველი და ახალი,
ვინც კი შურის თვალით შესცქეროდა მის ამადლებას, გან-
დიდებას. მოაგონდა ყველა მოძულენი, პირში მაქებელნი და
ფარულათ მძრახველნი მისნი. თვალ წინ წარმოუდგა მათი
აღტაცებული განგაში და სიცილ-ხარხარი, როდესაც გაი-
გებდნენ თეოდორას ძირს დაცემას, ჩამოვარდნას. მარტოთ
ამ საშინელმა აზრმა, რომ მტრის გულისათ უნდა გამხდარი-
ყო, თეოდორას მთელ არსებას უარესათ ცეცხლი წაუკიდა.
როგორ თუ! იმათ უნდა სიხარულის კიჟინა დასცენ, რომ
დათვის მოდარაჯეს ქალიშვილი კვლავ ძირს დაეცა და ჩა-
ვარდა იმავე უფსკრულში, საიდანაც იგი ამოიყვანესო!! არა
და არა! არას დროს!! მე არავისი მასხარა არ გავხდები...

ამ შავმა ფიქრებმა სრულებით გარდაქმნეს თეოდორა.
გააფთრებულს გული გაუკაჟდა, სახე მხეცურ მძვინვარებით
აღნთო და მისმა მძაფრმა ტუჩებმა მკაცრათ წამოიძახეს:

— შეასრულეთ!!.

—:—

იმავე წუთს სიკვდილის მლალადებელი საჭურისი ვასი-
ლი შესაზარის ღიმილით გავიდა ოთახიდან. თეოდორამ ხმა
მალლა ერთი კი ამოიკვნესა: ვიშ, დედაო; და უფრო ღრმით
ჩამალა თავი ფარჩის ბალიშებში. აღეოვებულნი, აკანკალებულ
ხელებით მწარეთ გრებდა, ბლუჯავდა ბალიშებს და თან ერ-
თი მეორის წინააღმდეგი ფიქრები გონებას ურყევდა.

საჭურისი დროს არ ჰკარგავდა. ამას ჯოჯოხეთურ საქ-
მეზე მიუხაროდა. წინ ეხატებოდა ის სანატრელი დრო, რო-
დესაც იგი შექმნებოდა ერთად ერთი მესაიდუმლე იმპერატ-
რიცა თეოდორასი. ამათ ხო დღესვე მოიშორებდა თავიდან,
ხოლო ის ვიდაც უბრალო დიაკონია ანტიოქიაში, იმისი
დღენიც დათვლილია. მაშასადამე, ვასილი ხელთ იგდებდა
საშინელ ძალას, რომლითაც წელში მოჰხრიდა, დაიმონავებ-
და თეოდორას მედიდურ ბუნებას.


საჭურისმა გაირა იმ ოთახში, სადაც იცდიდნენ მოსულე-
ბი და ხელით გამოსახა ის საშინელი ნიშანი, რომელიც კარ-



გათ ცნობილი იყო იმ უწინდელ შავსა და ბნელ ხანაში, როცა მოკვეთილ მუნჯმა ზანგებმა წამსვე სტაცეს ხელი ორივეს, ბერიკაცსაც და ყმაწვილსაც, სწრაფათ გააქანეს დერეფნისკენ, საიდანაც გზა მიდიოდა სასახლის ქვედა სართულისკენ. ჯერ სუნი მოუვიდათ მსუქან მოხრაკულებისა, რაიც მოწმობდა სამზარეულოს სახლოვეს. იქვე გვერდზე სხვა დერეფანიც რო გაიარეს, მიუახლოვდნენ რკინის კარებს, რომელსაც მძიმე ურდული ჰქონდა გაყრილი. კარები საჩქაროთ გაიღო და აქედანვე ჩასდევდა ქვის კიბე, კედლის ციმციმა ლამპრებით მკრთალათ განათებული. კიბის ზემო და ქვემო ბაქან-მოედანზე დარაჯობდნენ მუნჯი ზანგები, რომელნიც შავს მოჩვენებას ჰგავდნენ, ანუ შავი ხის ქანდაკებას. უფრო ძირს, ბნელსა და საშინელს გასავლის გვერდზე ოთახები მოსჩანდა, მაღაროებათ გამოთხრილი. ყველა მაღაროებში იგივე დარაჯები ჯოჯოხეთის მაშხალასებრ იდგნენ.

ჩვენს უბედური დღის მგზავრებს შეუბრალებლათ, კადნიერათ მიახრევედნენ ამ ოღრო-ჩოღრო, ვიწრო ჩასავალ ქვის კიბეებზე. კარგა ღრმათ რო ჩავიდნენ, აქედან კიდევ ახალი გრძელი კიბით ჩაატარეს, სადღაც ქვესკნელში. საშინელი მძიმე, დახშული, ნოტიოთი გაჟღენთილი ჰაერი და ნამის წვეთები, რომელიც მათ თავზე დასდიოდათ, აშკარათ მოწმობდნენ, რომ ეს ადგილი დედამიწას ძლიერ ჩაცილებულია და თვით ხვრელი ზღვის ქვეშ იყო შეთხრილი. ჩასავლებში გაბანდულ რკინის კარიან მაღაროებიდან, ხშირათ მოისმოდა გულ შემზარავი ოხვრა-კვნესა და უწვეო ტანჯვის გამოძახილი, რომელიც ავათმყოფ ცხოველთა ხმას უფრო მიაგვანდა. აქედან ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენი ადამიანი იტანჯებოდა მთელი თავისი სიცოცხლე აქ ამ საშინელ ჯურღმულში, ნოტიო და მოშხამულ ჰაერში.

ამ ბნელეთში, სულ ძირის სართულში, დერეფნის ბოლოში, კარებს უკან იწყებოდა თალიანი ერთი დიდი ცარიელი ოთახი. ოთახის შუა გულს მოსჩანდა რკინით ნაჭედი მძიმე ფიცარი. ამ ფიცრით იხურებოდა ქვიტკირის ტლანქათ ნაშენი ქა, რომლის კედლებზე წარწერები ჯერაც ეტყობოდა. აქ აღმოიკითხავდით აღმოსავლეთის ძველი დროის მეცნიერთა წარმოთქმულ სიბრძნეს. ეს ძველის-ძველი ქა არსებობდა



უფრო აღრე, ვიდრე ბერძნები ბიზანტიას დააფუძნებდენ, ხელდობრ, ნაშენი იყო იმ დროს, როდესაც ქალდეველნი და ფინიკელნი უშველებელ გაუთლელ ლოდებს და კლდეებს ხპარობდენ ყველა შენობებისთვის, ისინი ყოველთვის აშენებდენ ზღვის პირათ, ანუ უფრო ღრმათ ჩადიოდენ, მაშასადამე, უფრო ძირს, ვიდრე ეხლა კონსტანტინეს ქალაქი ნაშენი.

შიშისაგან დაღეული ბერ-მონაზონი და გულგახეთქილი ბავშვი საბრალო ლომსა—საჭურისმა ამ ოთახში შეათრევინა; მოხურა კარი და მონებს ანიშნა აედოთ ის მძიმე ფრცარი, ქას რო პირზე ეხურა. თავზარ-დაცემულ ყმაწვილს გულმა უგრძნო, გონება მიხდილი წივილით მაგრათ მიეკრა ბერ-მონაზონის კალთებს. წინამძღვარს ლუკას მიწის ფერი ედგა და აკანკალებულის ხმით ემუდარებოდა საჭურისს:

— დარწმუნებული ვარ, უეჭველია, თქვენ არ გაიმეტებთ სასიკვდილოთ უდანაშაულო ბავშვს!—დაიყვირა მოხუცმა რამდენათაც კი ძალი შესწევდა და მუხლებში ჩაუფარდა საჭურისს—განა მაგის ბრალია, რომ დღეს აქ მოვიდა? დამნაშავე მე ვარ და თუ არ დაგიშლიათ დიაკონი ბარდასა! თუ რო საჭიროა ვისიმე დასჯა და სიკვდილი, ისევ ჩვენს თავს იყოს. ჩვენ ჩვენი დრო მოგვიჭამია, მოხუცი ვართ და სულ ერთია დღეს თუ ხვალ წუთისოფელს გამოვესალმებით; მაგრამ რას ერთია ამ საცოდავ, უმანკო ყმაწვილს?! ეს ჯერ ბავშვია, სრულებით ახალგაზდა, ამას ჯერ სიცოცლეს სწყურის, უხარის. ნუ დაიდებთ ამ უბრალოს ცოდვას, შეჰხედეთ თქვენს ღმერთს... ოხ, ღმერთო ჩემო! რად შემასწარ ამ უბედურ დღეს. შეიბრალებთ, ბატონო, ეს უმანკო ყმაწვილი... განა რო შეიბრალებთ, არა რო თქვენ ვერ გაიმეტებთ სასიკვდილოთ... საცოდავთ, მწარეთ ქვითინებდა მოხუცი და ხელები მაგრათ ჩასჭიდა საჭურისის კალთებს.

ყმაწვილი ამ დროს გულწასული ეგდო ბერის ანათორის კალთებში და შეშინებული თვალით შესცქეროდა შავ-ზახ-გებს, რომელთაც პირი მოხადეს ძველს, დახავსებულს, საზარელ ქას.

ანტიოქიელი წინამძღვარი მანც თავ-გამეტებული იფიქრებოდა და გაშმაგებული, ძალზე ეხვეოდა საჭურისის ფე-



ხებს — ნუ რომიკლავთ ჩემს სათუთათ ნახარდს ლომსა ^{საჩვენებელი}
 დველ ყრმას...

მაგრამ ესოდენ ხვეწნა-მოდარის პასუხათ, ვასილმა ჭის პირიდან ერთი დიდი ქვა ააძრო და ქაში ჩაავდო. ქვის ხმა-ურობა ჯოჯოხეთური იყო: ჯერ სველ, ლორწოიან, ძველ დახავსებულ კედლებს ეხლებოდა, აქეთ-იქით ეჯახებოდა, ბოლოს შესაზარ ხმაურობით, სადღაც ქვესკნელს, რაღაც ჯურღმულ-გუბებში უშველებელი ტყაპა-შხაპუნის მოიღო.

ამის შემდეგ საქურისმა ვასილმა კვლავ გამოსახა ნიშანი. შავი მონები მისცვიდენ ტირილით დაქანცულს, დაოსებულ ბავშვს და ძალით მოჰგლიჯეს ბერი კაცის ანაფორას. ბავშვმა ერთი ისეთი გულსაკლავათ შესწივლა, რომ მისი საცოდაობით ქვაც კი დაიწოდა. ამ საშინელ ბარბაროსობის დროს, ვერც კი შენიშნა ვინმემ, ვერავინ გაიგო, როგორ შემოიჭრა ოთახში დედა-იმპერატრიცა თეოდორა, გაშმაგებული, ვით ძუ-ლომი.

— გაჩერდით!! ერთი კი შეჰკივლა თეოდორამ და გაგიჟებული გადაეხვია საცოდავ ბავშვს, გულში მაგრაათ ჩაიკრა თავის სიყრმის შვილი. — არა, არა, ეს არ იქნება! არ შეიძლება! — ქვითინით მოსთქვამდა თეოდორა — არა, არა, ჩემო ძვირფასო, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო საყვარელო, სიგიჟის შვილო, ნუ, დედა გენაცვალოს, ნუ გეშინიან, ეგენი შენ ხელს ვერ გახლებენ. ღმერთო ჩემო! რამ ვადამრია, რა უგულო და ბოროტი ვიყავ. მე ჰკუთხე შემშალეს იმ წყეულ-შეჩვენებულლებმა. ეს როგორ მომივიდა ფიქრათ. შენ გენაცვალოს დედა, შვილო, მე უგუნური ვიყავ. მაპატიე ჩემო ტურფავ, ჩემო ლამაზო სიყრმის, სიგიჟის შვილო, გენაცვალოს შენ ჩემი თავი. არა და, რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო! უი რა საშინელებაა! ეხლა წარმოსადგენათაც, წარმოსათქმელათაც კა მეზიზღება, გულს მიკლავს — შენის უბანკო სისხლით ხელი უნდა გაეისხლიანებინა შენს მშობელს, საკუთარს დედა-შენს!! გამწარებული მოსთქვამდა ბედშავი იმპერატრიცა თეოდორა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა საქურისს, პირ-ქუშუ სახეზე წარბები ჩამოეფხუტა. ხედავდა რო მისი ბედი, მისგან დაწყებული ასე საიმედო საქმე სულ მთლათ ინ-

გროდა. სულ კი დედაკაცის უეცარი ცვლილებით, თეოდორას ხუსტურის წყალობითაა.

— თუ კი თქვენ გულის გატკენტ, დიდებულო ხელმწიფეო ჩემო, მაშ რად უნდა მოვკლათ — წამოიძახა საჭურისმა — თუ თქვენი დასტურიც იქნება, დანით და გახურებული რკინით ჩვენ შეგვიძლია სამარადისოთ უშიშარ ვყოთ ესენი...

შვილის სიყვარულით გამსჭვალული, დაბნეილი თეოდორა აღარას გრძნობდა რაც მის გარშემო ხდებოდა. სრულებით ყურადღება არც კი მიუქცევია საჭურისის ბოდვისთვის.

— შენ გენაცვალოს დედა, ლომსავ, მაკოცე შვილო, მთელ ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არის მაგრძნობინე, როგორც ნაზი, ტკბილი ტუჩები ჩემის საკუთარის შვილისა, შეეხებიან ჩემს ბაგეს — გაგიყვებით უაღერსებდა შვილს თეოდორა — უი თავშემოგველოს დედა მტლათ დავედვე შვილო. ე მაგრე. ე მაგრე... აბა კიდევ, ერთი კიდევ მაკოცე... მაგრამ არა, არა, ახლა კი კმარა, თორემ მე ველარ შევიკრებ ძალას იმის თქმათ და ქმნათ, რაც ჯერ გასაკეთებელი მაქვს. ამ სიტყვების შემდეგ თეოდორა სრულებით გარდაიქმნა. იმპერატრიცას მედიდური სახე კვლავ შეფურ შარავანდელით ბრწყინავდა.

— ბერი კაცო! შენ უკვე გაგივლია გზანი შენი, მივიღწევია სიცოცხლის საზღვრამდე და როდესაც მე შენს პატიოსან სახეს ვუცქერი, ვერ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ შენის პირიდან არა მართალი სიტყვა წარმოითქვას — ბრძანებლობის კილოთი მიჰმართა თეოდორამ ბერ-მონაზონს — მაშ სწორეთ სთქვი: ქეშმარიტია, რომ შენ მთელს ამდენს ხანში სასტიკათ იცავდი ჩემს საიდუმლოს! ჰო თუ არა?!

— ქეშმარიტათ ვიცავდი, დიდებულო იმპერატრიცავ! ვფიცავ ჯერ ღმერთს და მერე წმ. ლუკას, ჩვენი მონასტრის მფარველ-პატრონს, რომ ჩემს გარდა და ერთიც მოხუც დიაკონის ბარდასასი ქვეყნიერებაზე არავინ არა უწყის-რა!

— მაშ ხელ-ახლავ დაადევ ბეჭედი ბაგესა შენსა! — უბრძანა თეოდორამ — უკეთუ შენ ერთგულ იყავ წარსულში, არა მგონია წარა-მარა ყბედი გახდე მომავალში... მაგრამ შენ, ლომსავ? — და ამ დროს იმპერატრიცამ ყმაწვილს მიაქ-



ცია თავის საუცხოვო, მშვენიერი თვალები, რომლებშიც უცნაურათ, არეულათ იხატებოდა ალერსიც და სიმკაცრეც — შეგიძლია ლომსავ დაიცვა ეს საიდუმლო, რომლის გამჟღავნება შენ არას შეგმატებს, ხოლო დაგლუპავს შენ და მიზეზათ გახდები დედიშენის დაცემისა, დაღუპვისაც.

— არა, არა დედაჩემო, მე შენ არაფერს გავნებ, მე ხმასაც არ ამოვიღებ...

— მაშ გერწმუნებით... ეს კარგათ იცოდეთ, თქვენი მონასტერი და თვით თქვენც ორივენი, იმისთანა შემწეობას მიიღებთ, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე მლოცველი და მაკურთხეველი იქნებით იმ დღისა, რა დღესაც თქვენ ჩემს სასახლეში ფეხი შემოდგით. ახლა კი გასწით და წადით. მე თქვენ თვალით აღარ უნდა მეჩვენოთ. და თუ რომ ეს მოხდა, არავინ იცის რა გუნებაზე-ღა შეგხვდებით—გულჩვილობის წამს, თუ სიმკაცრის დროს? პირველი მე დამლუპავდა, მეორე თქვენ. მხოლოდ ესეც იცოდეთ, თუ რომ ჩემამდე ხმამ მოაწია და ვინმემ ყურს ჩამჩურჩულა, რომ თქვენ მე გამეცით, მილალატეთ, ზაშინ დაიღუპებით თქვენც, დაიღუპებით თქვენი ბერებიც, აღიგვება თქვენი მონასტერიც. ეს სისასტიკე ყველასათვის სამაგალითო გაკვეთილი იქნება, ვინც კი გაბედავს და ფიცს გასტეხავს, ვინც რომ ორგული გახდება იმპერატრიცა თეოდორასი.

— მე კრინტსაც არ დავძრავ, შენი რისხვა არა მაქვს— მოახსენა ბერ-მონაზონმა—არც დიაკონი ბარდასი და ეს ლომსა, ამაზე მე თავდები ვარ; მაგრამ, გულ-ლმობიერო ხელმწიფევე, აქ ხო სხვანიც არიან. ვინც კი აქ დაესწრო—ამ მონებს და ვასილს შეუძლიანთ სხვითა დანაშაულობისთვის ჩვენზე იყარონ ჯავრი, უბრალონი უსამართლოთ დაგვესაჯონ.

— არა, არა, საქმე მაგრე როდია—ბრძანა იმპერატრიცამ და თვალები უეცრივ მრისხანებით აენტო—ეს მონები მუნჯები, ენა დაჭრილები არიან და რა გზით-ღა შეუძლიანთ გაამჟღავნონ ის, რაც იციან; ხოლო ეს ვასილი...

და ამ დროს თეოდორამ თეთრი ფუნჩულა ხელი ჰაერში გაიქნია და გამოსახა ზანგებისათვის ცნობილი ნიშანი, სწორეთ იგივე ნიშანი, რომლითაც თვით ვასილიმ ამ რამ-

დენიმე წამის წინეთ სიკვდილი მიუსაჯა ყმაწვილსა და მის ხუცს... შავი მონები ისე მისცვივდენ საქურისს ვასილს, ვით დაგეშილი ძაღლები ირეშს.

— ჰოი განუსაზღვრელო ბრძანებელო ჩემო, ღიდებულო იმპერატრიცავ, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს? რათ ინებებთ, რათა მკლავთ? რა დავაშავე განა ისეთი?—ყვიროდა საქურისი საცოდავის აკანკალებულის ხმით—არ შეგიძლიათ, არ შეგიძლიათ, არ შეგიძლიათ ეგ უბრძანოთ!.. მე რათ უნდა მოვკვდე? შემიბრალეთ, გევედრებით ღმობიერო ხელმწიფეო...

— სწორეთ შენა ხარ სიკვდილის ღირსი, ყველაფრის მიზეზი! განა შენ არ წამაქეზე ჩემი საკუთარი სისხლის დაღვრაზე, შენ არ მიკლავდი ღვიძლ შვილსი განა შენ არ გინდოდა ჩემი საიდუმლო ჩემს წინააღმდეგ, ჩემს დასამონავებლათ გეხმარა? მე ყოველივე ეს პირველათვე წავიკითხე შენს ვერაგ სახეზე, ჯალათო! მძვინვარე მხეცო! ქვემძრომო ასპიტო! შენვე განიცადე ის ბედი, რა ბედიც შენ სხვებს განუზადე! შენ თითონ დაღუბვეი შენი თავი... ახლა კი ყველაფერი ესთქვი და გავათავე.

იმპერატრიცამ გაუმეორა ზანგებს ის საიდუმლო ნიშანი.

მოხუცი წინამძღვარი და მისი ახალგაზრდა ლომსაი, თუმც იმედიანათ, მაგრამ მაინც გულ-გახეთქილები გამოცვივდენ იმ თალიან მალაროდან, სადაც ესოდენი ტანჯვა-ვაება განიცადეს... პირველი კიბე რო აირბინეს, გულმა ეერ გაუძლოთ, უკან მოიხედეს. დაინახეს ამაყათ გამოქიმული, უღმობელი სახისა, ოქროს კაბაში ბრწყინვალე, მედიდური სახე იმპერატრიცასი. მის გვერდით მოსჩანდა დახავსებული ჰის მწვანე კედლები და უშველებელი გაღებული წითელი ყბა საქურის ვასილისა, რომელიც ივედრებოდა და გულსაკლავათ ღრიალებდა რაღაცნაირ ბერ-ღიაცის ხმით. ამასობაში ყოველივე ბიჯი ღონიერ ზანგებისა უახლოვებდა მას აუცილებელ სიკვდილს. ამის დამნახავე, ჩვენი მგზავრები ისევ გაიქცენ, კიბის საფეხურებს უფრო მიაშურეს და ყურები კი ხელით დაიცვეს, რომ აღარაფერი გაეგონათ, მაგრამ დაცობილ ყურითაც კი გაიგეს შესაზარი ბღავილის ხმა და მერე კი ქაში



მძიმე რაღაც ჩავარდა და საღრაც იქ ქვესკნელში წვილილი
ძლიერი შხაპუნი გაიღო...

ეს იყო უკანასკნელი წამი გულღვარძლი საჭურის ვასი-
ლისა, რომელმაც სიცოცხლესთან ყოველივე ანგარიში მოს-
პო და გაათავა.

ილ. ალხაზიშვილი.

მფრინავი ობობა.



ემოდგომის თბილი დღე იდგა. მზე
უხვათ აფრქვევდა ოქროს ფერ სხი-
ვებს დედა მიწას. გაისმოდა ფრინ-
ველთა ჭიკჭიკი, რომელნიც მხიარუ-
ლათ დაჰქროდენ ხის ტოტებზე და
სტკებოდენ მზის სითბო-თი.

პატარა ქეთინო და ნიკა ჩარეო-
დენ ამ საერთო მხიარულობის ფერ-
ხულში: ხტოდენ, დარბოდენ მინდო-
რზე და მათ ტიტინს ბოლო არ ჰქონ-
და. მხოლოდ ერთი რამ უშლიდა
მათ მხიარულობას: ნიავს გადაჰქონდ-
გადმოჰქონდა ათასობით ობობების
წმინდა ქსელები*). ეს ახირებული ძა-
ფები ყველაფერს ედებოდენ — კაბა-
ზე, ცხვირ-პირზე, თბებში ეხვეოდენ,
ერთი სიტყვით ამ ქსელების წყალო-

ბით ბავშვები მეტათ ცუდ გუნებაზე ხდებოდენ.

— რა საზიზღრები არიან ეს ობობები? ბუჩქები არ იკ-
მარეს, თითქმის ყველა შეუშოსიათ თავიანთ საზიზღარი ქსე-

*) ამგვარ ჰაერში მფრინავ ობობის ქსელს ჩვენში „ირმის ღორბლს“
ეძახიან.

ლით, ამით კიდევ დასჭირებიათ ჰაერი და ეს ჩვენი ჰაერი თავის საბრძანებლათ გაუხდიათ. უთხრა ქეთინომ გაჯავრებით თავის ძიას, რომელიც იქვე ბაღში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— ობობები ზოგჯერ სასარგებლონი არიან, ჩემო ქეთინო. ისინი ძლიერ ბევრ მავნებელ მწერებს სჭამენ, მიუგო ძიამ.—სადაც ბევრი ობობებია, იქ ბუზი ნაკლებათ არის. მანჯურიაში იმდენი ბუზებია, რომ კაცს ლაპარაკის დროს პირში უტყვინდებიან. იქ რომ ობობები ბევრი იყვენ ბუზები ნაკლებათ იქნებიან.


— რაღა დღეს დაფრინავენ ჰაერში ამოდენა ქსელები, ძიავ! გუშინ არ შემინიშნავს! წამოიძახა ნიკამ.

— დღეს ძალიან კარგი დარია, სწორეთ ამისთანა დღეებს ირჩევენ ობობებო სასეირნოთ. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. ამას, რასაც თქვენ ხედავთ ჰაერში, რაც ედება თქვენ ტანისამოს, ცხვირ-პირს, თმებს—ესენი არის ობობების ჰაერის ხომალდის იალქნების ნაგლეჯები.

— როგორ თუ ხომალდების იალქნისა, ძიავ!

— როგორც გინდოდეს ისე უწოდე, თუ ეგ სახელი არ მოგწონს ჰაერობლანი უწოდე ან ჰაეროსტატი. ბევრი ისეთი ობობა არის, რომლებსაც მეტათ უყვართ ჰაერში ფრენა, მაგრამ რადგან მათ ფრთები არა აქვთ, ამისათვის ისინი აკეთებენ ქსელის ჰაერობლანებს. ამ გვარ ჯიშის მოგზაურ ობობებს მეცნიერები ეძახიან „Thomasis Viaticus“.

ამათი მოგზაურობა იწყება ზაფხულის დამლევს, შემოდგომის თბილი დღეები როცა დგება და როცა ნიავე-ქარი დაჰქრის, ამ დროს პაწაწა ობობები, რომელნიც სიცივის გამო ღამე შეკუნჭულნი იყვენ ერთ ადგილას, მზე მათ გაათბობს თუ არა, მაშინვე გასაფრენათ მოემზადებიან. ამისათვის ობობა აცოცდება რომელიმე ჩირვვის ან დაბალი ხის ფოთლებზე და იწყებს პატარა ბადის ქსოვას. ეს ბადე სწორეთ ჰაეროსტატის კალათს მიეგვანება. როცა ბადე, მზათაა, ობობა მიაკრავს მას ფოთოლის წვერზე, ასწევს წინა ფეხებს, აიშვერს მუცელს ზევით და იქიდან გამოისვრის მრავალ წმინდა და ძაფებს, რომლებსაც ერთი ბოლოთი ამაგრებს წინ და წინ მოქსოვილ ბადეზე და ასე ისვრის ჰაერში მრავალ ძაფებს.



ამ დროს ნიავეი გამოდის: ობობას საშველათ, ანძრეცს პატარა ბადე-ნავს, ირყევა ობობაც ბადეში, ქანაობს, როგორც აკვანში ბაეში, უეცრათ პატარა ბადე-ნავეი, ქარის წყალობით, ჩამოშორდება ფოთოლს და შიგ მჯდომი ობობა თავისუფლათ დარჩება ჰაერში, მოჰყვება ობობა თავის ჰაეროსტატით ფრენას დიდ მანძილზე. საყოველთაოთ ცნობილმა ბუნების მეტყველმა დარვენმა თავის მოგზაურობის დროს ერთხელ დაინახა ჰაერში მფრინავი ობობები 60 მილის სიშო-

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამართალი

რეზე ზღვის ნაპირიდან. ობობებს შეენიშნათ ზღვაში ხომალდი და მაშინვე დაქანცულები დასევოდნ მას.

— სჩანს ობობებს შეუძლიანთ სადაც უნდათ იქ დაეშვან, იკითხა ნიკამ, რომელიც მეტის ყურადღებით უსმენდა ბიძიას.

— შეუძლიანთ, მხოლოთ ერთბაშათ ვერ დაეშვებიან. როცა ობობა ნიშანში ამოიღებს ადგილს, რომელზედაც უნდა დაეშვას, მაშინ ის ჰაერში გახლართულ ძაფებს შემოიგროვებს პატარა ბურთის მსგავსათ და ისე დაეშვება აღნიშნულ ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ქარმა ძაფები სულ სხვა მხარეს გაიტაცოს. როდესაც ობობა უახლოვდება თავის დასასვენებელ ადგილს, ის გამოხტება ხოლმე თავისი პატარა ბადედან და ისე დაეშვება დანიშნულ ადგილ აე. დაცარიელებული ბადე კი განაგრძობს თავის მოგზაურობას ჰაერში, სწორედ ამ ბადის ნაგლეჯები გვეკვრის ახლა ჩვენ ტანისამოსზე.

— მერე რისთვის დაფრინავენ ობობები, განა ისინიც ჰაერში ეძებენ საქმელს, როგორც ფრინველები? ჰკითხა ხელახლად ნიკამ.

— სწორეთ საზრდოს საძებნელათ დაფრინავენ ობობები, მაგრამ მათ არ შეუძლიანთ ჩიტებივით ბუჩები დაიჭირონ ჰაერში. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრინდებიან ხოლმე, სადაც გაიგულებენ საზრდოს, მაგრამ თუ იმედი გაუცრუვდათ და აქ საკმაოთ საზრდო ვერ იშოვეს, ისევ მალლა აფრინდებიან და სხვა ადგილს მოსძებნიან. ამიტომაც არის, რომ მთელ დედა-მიწაზე არის მრავალ გვარი ობობები. სად არ ნახავთ ჩვენ ქვეყანაში ყოველგვარ ობობებს. ამ მოგზაურობის წყალობით ისინი ყველგან მოიძებნებიან. მე მრავალ გვარი ობობები მინახავს მოგზაურობის დროს, ჩემო პაწიებო. ზოგი პატარები არიან—ჩვენი ობობას მსგავსნი, ზოგი შუატანისანი, ზოგი კი არიან სულ დიდები, რომლის შეხედვაც კი ადამიანს აშინებს და დიდი ზიანიც მოაქვს. მაგალითად აზიაში—ბომბეიაში არის ერთგვარი ობობა, რომელსაც ფრინველის მკამელს ეძახიან. ეს ობობა საოცარი და საშიშარი ცხოველია. ერთხელ მისი წყალობით მეც კინალამ მხედველობა დავკარგე.



— გვიამბე, ძიავე, სწორეთ ზღაპარია ჩვენთვის, ბა ფრინველს სჭამდეს! ან თვალს როგორ გაგიფუტებდა, ჰკითხავდენ ბავშვები.

— გახსოვთ მე რომ სამზღვარ გარეთ წავედი—აზიაშიაც ვიყავი. ვინახულე მშვენიერი ინდოეთი თავისი საკვირველი მცენარეებით და ცხოველებით, ვიყავი ბომბეიაშიაც. ჩემმა სახლის პატრონმა ერთხელ წამიყვანა სანადიროთ. ხომ იცით მე რანაირათ მიყვარს ნადირობა, ისიც ხომ გაგიგონიათ რომ ინდოეთის დაბურული ტყეები სავსეა ნადირით. შევედით დაბურულ ტყეში, საუცხოვოთ ვინადირეთ, ბოლოს დავიღალე და ერთ პრობკის ხის ქვეშ დავჯექი. ამ ხეს ირგვლივ შემოხვეოდა ლიანი. სულ ათი წუთი არ გასულა, რომ ხელზე ვიგრძენ საშინელი ტკივილი, რაღაც სიმძიმე სწევდა ჩემ ხელს ძირს, დავიხედე და ვნახე, რომ უშველებელი ობობა მაჯდა ხელზე, კლანჭები მაგრათ ჩაერქო ხელის კანში და თავის დიდრონ მრგვალ თვალებს არ მაშორებდა. ძრიელ შემეშინდა და საშინლათ დავიყვირე, თანაც შემტკნება ჩემი სიმხდალისა და რაც ძალი და ღონე მქონდა ხელს ვაქნევდი, რომ მომეშორებინა საზიზლარი ცხოველი. მაგრამ ამაოთ, საწადელს ვერ ვეწიე. შემდეგ თოფის ლულით ვსცადე გადამეგდო ხელიდან, ამ დროს ელვის სისწრაფით აირბინა ხელიდან და ცვირ-პირში მეტაკა, მწარე სითხე თვალში შემასხა. შუბლზე ვიგრძენ საშინელი ტკივილი, ცხადი იყო რომ ახლას საზიზლარი ცხოველი შუბლზე მაჯდა და მკბენდა. თვალეზზე ხელები მივიფარე. მაგრამ გვიანდა იყო—რაღას უშველიდი დაშხამულ, დაზარალებულ თვალს. საზიზლარ ქმნილებას მაგრათ ჩაეშვა კლანჭები შუბლში და ვერა გზით ვერ მოვიშორე. ამ დროს ჩემი სახლის პატრონიც მოვიდა, მას ჩემი ყვირილი გაეგონა. ობობა გადმოვაგდეთ ძირს და თოფის კონდახით მოვკალით. მას აქეთ შენსავით, ქეთო, მეც მეჯავრებიან ობობები.

— თვალმა რა ჰქნა! მოგირჩა მალე? ჰკითხეს ბავშვებმა.

— თვალში ანთება გამიჩნდა, დიდ ხანს მტკიოდა, თვალ ახვეული დავდიოდი, შუბლიც მტკიოდა კარგა ხანს.

— მაგ ობობების ჯინშიც დაფრინავენ ჰაერში?

— არა, ეგენი არ ნავარდობენ ჰაერში. საზოკადოთ დი-

დი ობობები ცხოვრობენ ამერიკის დაბურულ ტყეებში, ხეებზე აკეთებენ ბადეს. თითო ბადე ორ გირვანქას იწონს, ბადეები ტომრის მსგავსია, მაგრათ აკრავენ ძაფებით ხის ტოტებზე, ან ათავსებენ ხის ფუღურობებში. ხან იციან კიდევ—მიწას ამოთხრიან და ღრმა ორმოებში იკეთებენ ბინას. იმათ ბადეებში ყოველთვის ასობით შეხვდებით მკადარ მწერებს და ჩიტების ჩონჩხებს. ობობები ნადირობენ პატარა ჩიტუნებზე. — კოლიბრებზე; კოლიბრი ყველაზე პატარა ფრინველია. მხეცი ობობა მიაგნებს კოლიბრის ბუდეს, წინა ფეხებით დაიჭერს მას, კბენს, შხამავს, (მას შხამი აქვს ყბებში მოთავსებული) და ისე ჰკლავს კოლიბრს. შემდეგ შეათრევს თავის ბადეში და იქ შეგჭკვევა არხეინათ, სისხლსა სწოვს. ამ გვარ ობობებს არ სჭირდებათ ფრენა, ესენი თავის სამშობლოშივე ხეებზე და მიწაზე საქმელს ბლომათ მოულობენ.

— ამ ჩვენ პატარა ობობებმა როგორ ისწავლეს ფრენა, ძიავ, მათ ფრთები ხომ არა აქვთ, ან რამ გახადა ისინი ასეთი გონიერები, რომ საფრენათ რაღაც უცნაური ჰაერობლანები მოუგონიათ?

— შენ კითხვაზე, ჩემო ქეთინო, ძნელათ თუ ვინმე მოგცემს პასუხს. ან როგორ გაიგებ საიდან გაჩნდა მფრინავი მელია, ღამურა, ან თევზი! ობობების შესახებ შემძლიან გაიამბო მხოლოდ ერთი ზეპირ გადმოცემა, რომელიც მე გავიგონე მოგზაურობის დროს ერთი ფრანგი გლეხისაგან. ზღაპარი მეტათ ლამაზია, დამიგდე ყური:

„უხსოვარ დროს ცხოვრობდა ერთი ლამაზი პეპელა. ის ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მშვენიერათ აფერადებული ჰქონდა თავისი სიფრიფანა ფრთები, რომ სწორეთ გეგონებოდათ ცისარტყელააო. ყველა მას აქებ-ადიდებდა.

— შეხედეთ ერთი რა ლამაზი პეპელა! ბზუოდენ ბუზები და თავს დასტრიალებდენ პეპელას.

— ოჰ! რა მშვენიერება რამ არის! ოხვრით ბუტბუტებდა ბანჯვლიანი კრაზანა,—დაჯდებოდა შორი ახლოს და თვალს არ აშორებდა პეპელას.

მუდმივი, დაუძინებელი პეპელების მტერი გრძელ ნისკარტიანი შოშიაც კი გაიძახოდა: აი, ნამდვილი დედოფალი! ამის შექმა სწორეთ ცოდვაა!



ამდენმა ქებაზე გაამპარტავნა პეპელა და თავისთავზე უკვე თესი დედამიწაზე ვერავინ წარმოედგინა.

ერთხელ ამ მინდორში მოფრინდა პეპელების ფერია. ეს ფერია დიდებული სანახავისა იყო, საუცხოვო და მშვენიერი. ჩვენმა ამპარტავანმა პეპელამ ზიზლით გადახედა ფერიას. და წასჩურჩულა იქვე მჯდომ მატლს.

— ერთი შეხედვე რა მოუხეშავია! რა სასაცილოთ აქრელებულა!

ფერია კი უმშვენიერესი რამ იყო!

მატლი კარგათ ხედავდა თუ როგორი იყო ფერია და არაფერი უთხრა.

ფერიას კი მოეწონა პეპელა და წამოიძახა: ოხ! რა ლამაზი პეპელაა?

— როგორ, მე ვარ ლამაზი? წყენით ჩაეკითხა პეპელა, — მე არა თუ ლამაზი, ულამაზესი ვარ, უუმშვენიერესი... გესმით... თქვენ კი... თქვენ.. ჩაირეთ, თორემ შეიძლება გაპისვაროთ ტანისამოსი — მაგ გამურული ჯოხით.

ფერიას კი ჯადოსანი ჯოხი ეჭირა ხელში.


— სულელო, პატარავ! ნამეტანათ მოგწონს შენ შენი თავი. გიჯობს თავმდაბალი იყო, ეგ სიამაყე შენ დაგლუპავს!

— რაო, გესმით? მე არ ვსაქიროებ შენს ღარიგებას, შე მახინჯო... დაუყვირა პეპელამ

ვერ მოასწრო პეპელამ სიტყვის დასრულება, რომ ფერიამ თავისი ჯადოსანი ჯოხის მოქნევით ეს ლამაზი, თავმომწონე არსება გადააქცია მახინჯ ობობათ. მაგრამ ის მაინც თავის თავს უმშვენიერესათ გ-ძნობდა, მეტადრე მას აქეთ, როდესაც ფერიამ ჰაერში ფრენა მიანაჟა.


— ასეთია თქმულება ობობაზე და ამითი დაყმაყოფილდით, სანამ გაიგებდეთ მეცნიერების ახსნას, დაამთავრა ძიავ.

იტა ნაკაშიძე.



ხ ი მ ე რ ა .

(ნატ-გოტონის ზღაპარი)



იღმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც საბერძნეთში, ერთს მთის ძირში გამოხეტქა ციგმა წყარომ.

როგორც შეტყობილი მაქვს, ის წყარო აქამდინ არსებობს, და ერთხელ, როდესაც ის ჩვეულებრივ ცელქათ, გიჟმაჟათ მიხტოდა მთის ქვებზე ოქროსავით მბრჭყვინავი, მას მიუახლოვდა ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, სახელათ ბელლეროფონი. მას ხელ-

ში ეკავა ძვირფასი აღვირი ოქროს ლავამით. ჭაბუკმა წყაროსთან დაინახა ერთი მოხლცი, ერთი პატარა ბიჭი, ერთი შუა-ხნის მამაკაცი და ერთიც ახალგაზრდა ქალი, რომელიც კოკას წყლით ავსებდა. ბელლეროფონი შედგა და სთხოვა ყმაწვილს ქალს, მისთვის წყალი დაეღვეინებინა.

— რა მშვენიერია ეს წყალი, — წარმოსთქვა ჭაბუკმა, როდესაც გამოკალა ერთი ლიტრა, — ხომ არ იცით რა ჭქვიან ამ წყაროს?

— ამას ჭქვიან „პირენა“, — უპასუხა ქალწულმა და თან დაუმატა: ბებია ჩემისაგან გამიგონია, რომ ეს ანკარა წყარო იყო ოდესღაც მშვენიერი ქალი, რომელიც ცრემლებათ დაილია, როდესაც მისი ვაჟიშვილი დანის ისარმა განგმირა, და ეს წყალი, შენ რომ ძალიან მოგწონს, ნამდვილათ საცოდავო დედის მწარე ცრემლებია.



— მე ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, — შენიშნა ყდაწვილმა კაცმა, — რომ ეს მჩქეფარე ანკარა წყარო, რომელიც ასე მხიარულათ მიისწრაფის სიბნელიდან მზის სინათლისაკენ, თავის ცივ ნამებში ერთ მწარე ცრემლს მაინც წევსვამს. მაშ ეს არის პირენა? გმადლობთ, რომ ამის სახელი შემატყობინეთ. მე შორიდან ვარ მოსული ამ წყაროს სანახავათ.

აქ მდგომმა შუა-ხნის მამაკაცმა ყურადღებით დაუწყოა ცქერა ქაბუკს, მის ძვირფას აღვირს და პატარა სიჩუმის შემდეგ შენიშნა:

— ეტყობა შენ ქვეყანაში წყალი დამშრალა, რომ ამ სიშორეზე პირენის გულისათვის წამოსულხარ. შენ ხომ ცხენი არ დაკარგე? ხელში რატომ გიჭირამს მშვენიერი აღვირი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი. თუ შენი რაში ეგეთივე ლამაზი იყო, როგორც ევ აღვირი, მაშინ ძალიან დასანანია შენი დანაკარგი.

— მე არაფერი არ დამიკარგავს, — ღიმილით მიუგო ქაბუკმა, — მე მხოლოდ ვეძებ ერთ საუცხოვო რაშს, რომელიც, როგორც გადმომცეს მცოდნე პირებმა, აქ, სადღაც უნდა იყოს. შენ ხომ არ იცი, რომ უწინდებულათ უწოდებენ ამ წყაროს ფრთოსან რაშს — პეგასს?

მამაკაცმა გაღიხარხარა.

ზოგიერთ თქვენგანს, ჩემო მეგობრებო, გაგონილი გექნებათ, რომ ეს პეგასი იყო სპეტაკი თეთრი რაში, ლამაზი ვერცხლის ფრთებით. პეგასი, როგორც ღრუბლებში მოსრიალე არწივი, მომეტებულს ნაწილს თავის სიცოცხლისას გელიკანი მთის მწვერვალზე ატარებდა. თავისი მკვირცხლი ფრენით, სილამაზით და ჰაეროვან სიძარდით აკვირვებდა მაყურებელს. ამის ბადალი ჯერ დედამიწის ზურგზე არ გაჩენილიყო, არც არავინ მჯდარიყო ზედ. ეს საკვირველი რაში განმარტობით და ბედნიერათ ცხოვრობდა. ოჰ! რა შეედრებოდა ფრთოსან რაშს! პეგასი, რომელიც ღამეებს მთის მწვერვალზე ათიებდა, დღე ჰაერში დასრიალებდა, ის არ იყო მიწიური არსება; როცა პეგასი თავისი ვერცხლის ფრთებით მზის სხივებში გახვეული არღვევდა ჰაერს ლაქვარდ ცაში — იგი ციური არსება იყო, და თუ დედამიწას დაუახლოვდებოდა, გვეგონებოდა გზა დაჰკარგვია და ბურუსში და-



ემებს გზასო. მშვენიერი სანახავი იყო როგორც გაგონილმა გვაქვს ეს რაში მაშინაც, როცა იგი ღრუბლებში გახვეული რამდენიმე წამს ჩაიმალებოდა და უფრო მომხიბლავი უცებ მეორე მხარეს გამოჩნდებოდა. როცა წვიმდა და ცის კამარა ღრუბლით შეიკვრებოდა, ადამიანს ეგონებოდა, რომ ზემოდან უცებ დაშვებულმა რაშმა მზის სხივები ძირს ჩამოიტანაო.

მართალია, ერთი წამის შემდეგ სინათლე ჰქრებოდა, მაგრამ თუ ვინმე მოჰკრავდა თვალს ამ საოცარ სანახაობას მთელი დღე მხიარულ გუნებაზე იყო, თუნდაც ამ დღის განმავლობაში კოკის პირულათ ეწვივა.

ზაფხულში, თუ კარგი დარი იდგა, პეგასი დაეშვებოდა დედამიწაზე: აქ თავის ვერცხლის ფრთებს დაუშვებდა და ქარივით ნავარდობდა მთაში და ბარში. უფრო ხშირათ პეგასს ნახავდით პირინეს წყლის პირას, საცა იგი ან ხარბათ დაეწაფებოდა ცივ წყალს, ან გორაობდა ზურმუხტით მწვანე ბალახზე, ან არა და შეექცეოდა ტკბილ სამყურას. ძალიან უყვარდა პეგასს ამ ბალახით პირის ჩატკბანურება.

ამიტომ ამ სოფლელების წინაპართ უყვარდათ წყაროზე სიარული იმ იმედით, რომ შორიდან მაინც თვალს მოჰკრამდენ მშვენიერ პეგასს.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო იშვიათათ ეჩვენებოდა ხალხს ჩვენი რაში.

იმ სოფლელებს, რომელნიც იქვე წყაროს მახლობლათ ცხოვრობდენ, არ ენახათ პეგასი და არც მისი არსებობა სწამდათ; ამიტომ იყო რომ პეგასის სახელის ხსენებაზე მამაკაცმა გულიანათ გადიხარხარა.

— როგორ, პეგასი! — წამოიძახა მან და თავის ისედაც მალლა აწეული ცხვირი უფრო მალლა ასწია. პეგასი! ფრთოსანი რაში! ნუ თუ? შენ ჰკუაზე შემცდარი ხარ, ჩემო მეგობარო! არა და რათ უნდა ცხენს ფრთები? ნუ თუ გგონია, რომ ფრთები გუთნის სათრევათ დასჭირდება? მართალია, ამისთანა ცხენს უფრო ნაკლებათ გაუცვდება ნალი, მაგრამ სამაგიეროთ, არა მგონია, რომ პატრონს მოეწონოს, როცა იგი საჯინბოს ფანჯრიდან გაუფრინდება, ან და იმის მაგიერ-



რათ, რომ წისქვილში მიიყვანოს თავის პატრონს ბისკენ გააქროლოს!

— არა, არა, მე ვერ დამაოწმუნებთ, რომ პეგასი არსებობდეს. განაგრძო მან ამისთანა ფრინველი—ცხენი არას დროს არ ყოფილა.

— მე კი სხვანაირათ ვფიქრობ, — დამშვიდებით შენიშნა იქ მდგომმა ქაბუკმა.

ამ სიტყვებით ბელლეროფონი მიუბრუნდა ყავარჯენზე დაყრდნობილ მოხუცს, რომელიც ამათ ლაპარაკს ყურადღებით ისმენდა.

— აბა, შენ რაღას იტყვი? — ჰკითხა მოხუცს ქაბუკმა, — ახალგაზრდაობაში ხომ შენ ბევრჯერ მოგიხდებოდა ფრთოსანი რაშის ნახვა?

— მე მეხსიერება შემისუსტდა, ქაბუკო, — უპასუხა მოხუცმა — მაგრამ რამდენათაც მახსოვს მე, როგორც სხვებს, როცა ახალგაზრდა ვიყავი, მწამდა ამისთანა ცხენის არსებობა. ეხლა კი მეც ნამდვილათ არ ვიცი, რა ვიფიქრო პეგასზე რადგანაც, მართალია რომ ვთქვათ, ჩემთვის საყურადღებო არ არის. მას შემდეგ, რაც მე პეგასი მინახავს, იმდენმა ხანმა განვლო, რომ ვიქვობ ნამდვილათ მენახოს ეგ რაში. თუმცა ერთხელ, როცა ჯერ პატარა ბიჭი ვიყავი და დავბოდი აქა, შევაძინე ცხენის ჩლიქის კვალი, ის კი არ ვიცი, პეგასმა დასტოვა ეს კვალი თუ სხვა ცხენმა.

— შენ, მშვენიერო ქალო, არა დროს არ გინახავს იგი მიუბრუნდა ქაბუკი ახალგაზრდა ქალს, რომელიც კოკით მხარზე უსმენდა ამათ ლაპარაკს, — პეგასის მნახველი, რასაკვირველია, მარტო შენ იქნები?

— ერთხელ, მგონი მე თვალი მოვკარ მას, — უპასუხა დარცხვენით აწითლებულმა ქალმა, — არც თუ რაში იყო, არც თუ უშველებელი თეთრი ფრინველი, შორს, მალღაცის კიდულში მიფრინავდა. ამას გარდა, ერთხელ კოკით მხარზე რომ მიუახლოვდი წყაროს, ცხენის ქიხინი მომესმა, მაგრამ ისეთ სასიამოვნო, რომ გულმა მხიარულათ დამიწყო ფანცქალი ჩემდა უნებურათ შევშინდი და ისე გავიქეცი, რომ კოკი ავსება დამვიწყებოდა.

— ძალიან ვწუხვარ რომ ეგრე მოხდა, — წარმოთქმებულ ბელლეროფონმა.



ბოლოს მიუბრუნდა ბელლეროფონი ბავშვს, რომელიც პირდაპირად მისჩერებოდა ჭაბუკს ისე, როგორც იციან ბავშვებმა უცნობის დანახვაზე, გადუსვა ალერსიანათ ხელი ხუჭუჭა აბრეშუმივით რბილ თმებზე, და ჰკითხა:

— შენ ალბათ ხშირათ ნახამდი ფრთოსან რაშს!

— როგორ არა!—(ჰქვიტათ უპასუხა პატარამ,—მე გუშინაც ვნახე იგი და წინათაც ხშირათ მინახავს.

— შენ კარგი ბიჭი ხარ!—მიუღალერსა ჭაბუკმა,—აბა მიაბე, როგორი იყო!

— მე ხშირათ დავდივარ აქა, წყალზე პატარა ხომალდებს ვუშვებ და ლამაზ ფერად კენჭებს ვავრთვებ,—უპასუხა ბავშვმა,—ბევრჯერ, როცა ვუყურებ წყალსა, შიგ ვხედავ ანარეკალს ფრთოსან ცხენისას, როცა იგი ცაში მიფრინავს. მე ძალიან მინდა, რომ რაში დედამიწაზე დაემვოს, შემისვას თავის ზურგზე და ამიტაცოს მთვარეზე, მაგრამ თვალს მოვკრავ თუ არა მას, იგი უკვე გაჰქრება ხოლმე.

ბელლეროფონმა დაუჯერა ყრმას, რომელსაც წყალში ენახა პეგასის ანარეკალი. რადგანაც ქალწულს გაეგონა რაშის მელოდორი ჰიხვინი და არა გლახს, რომელსაც გარდა მუშა ცხენისა, არაფერი სწამდა და აგრეთვე არ დაუჯერა მოხუცსა, რომელსაც დავიწყებოდა თავის სიყმაწვილე.

ამ დროიდან მოყოლებული ბელლეროფონი ხშირათ ეწვევოდა ხოლმე პირინეს წყაროს, სადაც იგი დარაჯობდა: ხან ზეცას შესცქეროდა, ხან წყალს უყურებდა იმ იმედით, რომ წყალში მაინც დაინახავდა პეგასის ანარეკალს, ან თითონ პეგასს. ყოველ შემთხვევაში ჭაბუკს მზათ ჰქონდა თავის ძვირფასი აღვირი. ახლო-მახლო მცხოვრებლები, რომლებიც აქ მორეკამდენ ხოლმე წყლის დასაღევათ საქონელს, დასცინოდენ ბელლეროფონს და ხან ლანძღამდენ კიდევაც. რადგანაც მათი აზრით ამისთანა ახალგაზრდა, მშვენიერ, ძალღონით სავსე ჭაბუკს არ უნდა დაეკარგა ასე უბრალოთ დრო. სოფლელები ცდილობდენ მიეყიდნათ მისთვის ცხენი, თუ მაინცა და მაინც საჭირო იყო, ან თითონ ეყიდნათ მისი ძვირფასი აღვირი.

ასე გასინჯეთ, პატარა ბიჭ-ბუჭებიც კი ბელლეროფონს დასცინოდენ, სულელს ეძახდენ. ხშირათ რომელიმე ბიჭი



გარბოდა წინ ხტომით და ტლინკების სროლით, ვითომ და პეგასია და მეორე ბიჭი კი უკან მისდევდა წნელით ხელში, ვითომ და ძვირფასი ქვებით მოქედილი აღვირით.

მარტო ერთი წყნარი ბავშვი, რომელიც ბელლეროფონმა ნახა მოსვლისთანავე, ამშვიდებდა და ამხნევებდა ქაბუკს. დრო გამოშვებით ბავშვი მოუჯდებოდა ქაბუკს და ისეთი რწმენით შესცქეროდა ცას და წყალს, რომ ბელლე როფონს იმედით ევსებოდა გული.

თქვენ, რასაკვირველია, გინდათ გაიგოთ, რისთვის დასჭირდა ბელლეროფონს ფრთოსან ცხენის დაქვრა. ვისარგებლოთ იმ დროთი, მინამ იგი უცდის წყლის პირას პეგასის მოვლენას, და გავიგოთ მიზეზი.

ერთ აზიის ქვეყანაში გაჩნდა ისეთი საშინელი ცხოველი, სახელათ ხიმერა, რომ თუ მოვეყვებით ყველა იმის თქმას, რა ბოროტებაც ამ ცხოველმა ჩაიდინა—მთელი დღე, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდის, ამას მოვანდომებთ. რამდენათაც მე ვიცი, ეს ხიმერა უსაშინელესი, უსაკვირველესი და მასთან შემზარავი შეხედულობის ცხოველი იყო, როგორსაც კი შეიძლება ადამიანი წარმოიდგინოს დედა-მიწის ზურგზე. მასთან ბრძოლა ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც მისგან გაქცევა. კლდი ჰქონდა მახზობელა გველისა, ტანი კი ისეთი უცნარი სანახავი იყო, რომ არ ვიცი ნამდვილათ რას მივამზავსო. ხიმერას სამი თავი ჰქონდა: ერთი ლომისა, ერთი თხისა და ერთიც გველისა, პირიდან ცეცხლის ალს აფრქვევდა. თუმცა ხიმერას, როგორც მიწიურ ცხოველს არ ჰქონდა ფრთები, მაგრამ ისეთი სწრაფი სირბილი ჰქონდა, როგორათაც ლომს, თხას და გველს ერთათ. ეს საშინელი მხეცი სიბოროტის მეტს არაფერს არ აკეთებდა. თავის ცეცხლის მფრქვეველ პირით ბუგავდა მთელ ტყეებს, მინდვრებს და სოფლებს მცხოვრებლებით ერთათ. იგი ანადგურებდა მთელს ქვეყნებს, რადგან დაჩვეული იყო ადამიანების და ცხოველების შეელაპვას, მიაქანებდა თავის გაუმაძლარ და ცეცხლით გახურებულ კუჭში. რა ბედნიერებაა, რომ არც მე და არც თქვენ, მკითხველო, არას დროს არც გვინახავს და არც ვნახავთ იმ საძაგელ ხიმერას!

სწორეთ იმ დროს, როცა ლიკიაში გაჩნდა ეს საშინელი.

ცხოველი, მივიდა იქ ბელლეროფონი მეფე იაბოტის სასახ-
 ვათ. ბელლეროფონი იყო, როგორც ზემოთ ვსთქვით, გამო-
 ჩენილი ქაბუკი თავის ძალღონით და ისე არაფერი სურდა,
 როგორც საგმირო საქმით თავის გამოჩენა და მერე ისეთი
 საქმით, რომელიც მთელ ქვეყანას მასზე აალაპარაკებდა.

ერთათ ერთი საშუალება იმ დროს იყო, ან ომი სამ-
 შობლო ქვეყნის მტრებთანა, ან ბრძოლა ბოროტ მღვდლებთან,
 ან გაშმაგებულ გველშაბთან, ან კიდევ გარეულ ცხოველებ-
 თან. მეფემ რომ შეატყო ბელლეროფონს ასეთი წადილი,
 სთხოვა მას საშინელ ხიმერას შებრძოლებოდა, რომელიც,
 რომ არ მოეკლათ, მთელ ლიკიას მიწასთან გაასწორებდა.
 ბელლეროფონმა დაუყონებლივ გამოაცხადა სურვილი შებრ-
 ძოლებისა და თანაც დაუმატა, რომ ან თითონ მოჰკლამს ხი-
 მერას და ან თავს შეაკლავს.

მაგრამ პირველ დანახვაზე ყველასათვის აშკარა იყო,
 რომ ეს ქაბუკი ვერ დაამარცხებდა ხიმერას უბრალო ბრძო-
 ლაში, რადგან ხიმერას ჩქარი და ხერხიანი მოძრაობა ჰქონ-
 და. ამიტომ ქაბუკის საგმირო საქმისთვის საჭირო იყო მარ-
 დი და სწრაფი რაში. მაგრამ რომელი რაში შეედრებოდა სა-
 კვირველ პეგასს, რომელსაც მარდი ფეხების გარდა ფრთებიც
 ესხა და ეკუთვნოდა უფრო ჰაეროვან ფრინველს, ვიდრე დე-
 დამიწისას. მართალია, ბევრს არა სჯეროდა პეგასის არსებო-
 ბა, ზღაპრათ მიაჩნდათ, მაგრამ ბელლეროფონი დარწმუნებუ-
 ლი იყო მის სინამდვილეში და იმედიცა ჰქონდა პოვნისა.
 იგი იმაშიაც დარწმუნებული იყო, რომ თუ ამ ცხენის ზურგს
 მოახტებოდა, მაშინ ამ ბრძოლაში ხიმერას წინააღმდეგ გა-
 მარჯვება მას დარჩებოდა.

აი ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ბელლეროფონი
 ძვირფას აღვირით ხელში ლიკიიდან საბერძნეთში მოვიდა,
 რათა ოქროს ლაგამის ამოდება პეგასის პირში შესძლებოდა.
 მაშინ ფრთოსანი რაში უცებ ბელლეროფონის მონა-მოსამსა-
 ურე გახდებოდა და გააქროლებდა ყველგან, საცა კი ბელ-
 ლეროფონი მოინდომებდა.

შუშანიკა ასათიანისა.

(შემდეგი იქნება).



დიდებული თეთრი კატი.

(ლივინგსტონის მოგზაურობა)

(დასასრული)



ივინგსტონი ახლა აღმოსავლეთისკენ მოემზადა გასამგზავრებლათ. მკვიდრი ხალხი დიდი სიამოვნებით შეელოდა ყველაფერში, ყოველგვარი სურსათი აღმოუჩინა. ას თოთხმეტ კაცს მიჰქონდათ ბარგი და სურსათი. ჯერ ზამბეზამდის ფეხით

წავიდნენ, მერე ჩასხდნენ ნაევებში და გაუარეს სოფლებს, რომლის ლობეებზე ადამიანების თავის ქალები იყო ჩამორქობილი, ბოლოს მიაღწენ ვეებერთელა ჩანჩქარს, მისი დანახვაც კი ხალხს შიშის ზარს სცემდა. ლივინგსტონმა ამ ჩანჩქარს სახელათ „ვიქტორია“ დაარქვა; ინგლისის დედოფლის სახელი. ლივინგსტონმა ბევრი წინ და უკან იარა, ბევრი უცნობი ადგილები აღმოაჩინა და ბოლოს კვილიმანეს ქალაქს მიაღწა, ინდიის ოკეანზე. ლივინგსტონი პირველი კაცი იყო, რომელმაც გაიარა მთელი აფრიკა კიდი-კიდემდე და აღმოაჩინა სათავეები მთელ ქვეყნის დიდროვან მდინარეებისა.

აქედან ის წავიდა ევროპაში, მისი თანამგზავრნი შეკანიანები დარჩნენ და დააპირეს მოეცადნათ მისი დაბრუნება. ლივინგსტონიც დაჰპირდა: თუ არ მოვკვდები—უსათუოდ დავბრუნდები თქვენთანო. იმათაც გადაქრით უთხარეს: „არა, შენი სიკვდილი შეუძლებელიაო“. შობის წინა დღეებში 1858 წ. ლივინგსტონი დაბრუნდა სახლში. თანამემამულენი დიდი ამბით დაუხვდნენ.

ამ დროს შეუდგა ის თავის მოგზაურობის აღწერას, ამბობდა: მე—მზათა ვარ ხელ-ახლათ ვიმგზავრო, ვიდრე წიგნი დავწერო, მოგზაურობა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე მისი აღწერა.

არც ოქროს დიდი მედალი, რომელიც გეოგრაფიულ საზოგადოებამ მიუსაჯა, არც ლონდონის და გლაზგოს საპატიო მოქალაქის ხარისხი, არც უნივერსიტეტის ექიმობის დიპლომი და არც სხვა მრავალთა მრავალი პატივისცემა, რომლითაც აჯილდოებდენ—ლივინგსტონს არ ხდიდა გამბედავ ადამიანათ, ის მაინც რჩებოდა ყოველთვის მორიდებული და სადა, უბრალო კაცი ისე, როგორც იყო აფრიკის გაუვალ ტყეებში თავის შავ-კანიან ამხანაგებთა შორის. თავის ქვეყანაში, სადაც კი სიტყვა გაუვიდოდა სულ იმას გაიძახოდა, რომ საჭიროა აფრიკაში განათლება შევიტანოთ და მისიონერების შემწეობით ბევრგან ახალშენები გავმართოთ. მაშინ მთავრობამ გარდასწყვიტა გაეგზავნა ლივინგსტონი აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში, რომელსაც მდინარე ზამბეზი რწყამდა. მას გაჰყვენ ცოლი და უმცროსი შვილი, გარდა ამისა, ამათ მიემხრენ რამდენიმე ინგლისელი და ერთ-ერთი მისი ძმა. მართებლობამ, რომ მეტი უფლება და თავისუფლება მიეცა ლივინგსტონისთვის, იგი დანიშნა კვილიმანში და მის ახლო-მახლო ადგილებში კონსულათ. პატარა გემიც კი მისცეს მდინარე ზამბეზზე სატარებლათ. 1858 წელს, მარტში ქალაქ ლივერპულიდან გამოვიდენ ზემო-ხსენებული მოგზაურნი და რამდენიმე თვეს შემდეგ ზამბეზის სათავეს მიაღწიეს. სამგზავრო პატარა გემი, რომელიც დაშლილი წამოედოთ—შეჰკრეს და ჩაუშვეს მდინარეში. ლივინგსტონმა ამ გემს დაარქვა „დედა-რობერტი“, თავის ცოლის სახელი, რომელსაც მკვიდრი მცხოვრებლებიც ასე ეძახდენ. ყველა ბარგი და სურსათი გემზე გადაიტანეს და ერთათ ყველანი გაუდგენ გზას, მალე მათ შემოუერთდენ ის შავ-კანიანები, რომელნიც ლივინგსტონმა წინეთ დატოვა აქ. „მე საზოგადოთ ტირილი არ ვიცი—სწერს ინგლისში ერთს თავის მეგობარს ლივინგსტონი,—მაგრამ თვალები ცრემლებით ამემსო, როდესაც ვნახე ჩემი შავ-კანიანი მეგობრები, რომელნიც მე ორი წლის განმავლობაში მელიოდენ“.



ამათ მგზავრობას პირველ ნაბიჯზედვე დაბრკოლება შეხედათ. პატარა გემმა ზამბეზის ჩქარ მდინარებას ვერ გაუძლო. ლივინგსტონმა მისწერა ინგლისში და ითხოვა სხვა გემი და თვითონ ზამბეზის მეორე ტოტით გაემგზავრა. ლივინგსტონი მიდიოდა ნაპირ-ნაპირ ლერწმებ შუა, ქაობებით საესე ადგილებში, რომელნიც ლურჯი ზაჰახებით მოფენილი იყო. აქვე ფუთფუთებდენ აუარებელი წვრილი და დიდრონი ცხოველები: სპილოები, ზებრები, გიპოპატამები და სხვა... ერთხელ ლივინგსტონმა დაინახა ერთად რვა-ასი სპილო. ეს სპილოები სრულებით არა გვანდენ იმ სპილოებს, რომლებსაც ჩვენ სამხეცოებში გვიჩვენებენ. ისინი კუნტრუმობდენ მალაღნაშჩი ბალახში კატუნებსავით. ლივინგსტონი ხედავდა ვზაზე სოფლებს, დიდრონ შემუშავებულ ველ-მინდვრებს. ამ მოგზაურობის დროს მან აღმოაჩინა ბევრი ტბები და მდინარეები.

ლივინგსტონი აჰყვა მდინარე ზამბეზას და თავისი შავკანიანი მეგობრები მიიყვანა თავიანთ სამშობლოში. მაგრამ მისსიონერები, ინგლისის მიერ იქ გაგზავნილნი, რვა კაციდან — არც ერთი ცოცხალი არ დაუხვდა, ყველანი დახოცილიყვნ.

ამ დროს ინგლისიდან გამოგზავნათ ხელ-ახლათ გემი „პიონერი“. მაგრამ ამათ ახლაც მარცხი მოუვიდათ. ვერ მოაწყეს ეს გემი. მერე თავის თანამზღებლების დახმარებით ნიანისის ტბაზე გადიტანეს ხელათ მოწყობილი დიდი ნავი. ესენი გზა და გზა ხედავდენ გადამწვარ სოფლებს, დანგრეულ ქოხებს და მოკლულ ხალხის ჩონჩხებს. ეს ყველა მონებით ვაჭრების საქმე იყო. ყოველ წლივ ამ ადგილებიდან მონებათ მიჰყავდათ ოცი ათასობით თავისუფალი ხალხი, რომელნიც ირჩენდენ თავს სიმინდის მოყვანით, ან ტბაში თევზაობით.

ინგლისიდან ხშირათ გზავნიდენ აფრიკაში ქრისტეს სიტყვის მქადაგებლებს, მისსიონერებს, მაგრამ ისინი თითო-თითოთ კვდებოდენ, თვით ლივინგსტონსაც მოუკვდა ცოლი ქაობების წყალობით. დამპალი ციებით, რომელიც მძინვარებდა მდინარე ზამბეზის სათავის ადგილებში. ის დაასაფლავეს დიდ ტოტებიან ბაობაბის ქვეშ, შუპანგის მდინარის ნაპირას. მისი სამარე შეიმკო ხეების მშვენიერი ფოთლებით და ხშირი ბალახით.

ლივინგსტონი არ იშლიდა, სულ წინ მიდიოდა. მდინარე როვუმის გამოკვლევას შეუდგა. მაგრამ ეს მდინარეც არ გამოდგა გემის სატარებლათ. ინგლისიდან სხვა გემი მოაშველეს, იგი ხელ-ახლათ მივიდა მდინარე შირეს მიდამოებში, მაგრამ აქ დაუხვდათ მშვენიერი სოფლების და შემუშავებული ყანების მაგივრათ მონებით მოვაჭრეებისაგან გავერანებული ადგილები.

ექვსი წლის მოგზაურობის შემდეგ ლივინგსტონი ხელ-ახლათ დაბრუნდა ინგლისში. მან აღმოაჩინა ბევრი ტბები, მდინარეები, ჩანჩქრები. ბევრი გამოცდილებაც შეიძინა. მაგალითათ ის დარწმუნდა, რომ პორტუგალიის მოხელეები მონებით ვაჭრებს დიდათ უწყობდენ ხელს და ლივინგსტონი არ ინდობდა მათ და ხშირათ, სადაც კი სიტყვა გაუწვდებოდა, მოუყვებოდა მსმენელებს მონობის საშინელ ამბებს.

V.

ერთი წლის შესვენების შემდეგ ლივინგსტონი გაემგზავრა ხელ-ახლათ და ეს იყო მისი უკანასკნელი მოგზაურობა. ის იმ აზრს ადგა, რომ მხოლოდ ადგილების კარგი გამოკვლევით გაკეთდება რამე საქმე. მას უნდოდა თავდაპირველათ წყლები გამოეკვლია და მისთვის კი ეს ძალიან სამძიმო საქმე იყო.

ინგლისის მართველობამ დანიშნა იგი აღმოსავლეთ აფრიკის განმგებლათ, კონსულოთ, ყველა საზოგადოებები და თვით კერძო პირებიც დაეხმარენ ფულით და 1866 წელს მიაღწია ზანზიბარის კუნძულს.

ზანზიბარი იყო სწორეთ ის ადგილი, საიდანაც უნდა წასულიყვენ შუაგულ აფრიკის გამოსაკვლელათ. აქვე შეიძლებოდა სურსათის და ბარგის გადასატანათ მუშების დაქირავება.

ლივინგსტონი იანვარში აქედან გაუდგა გზას, აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირებისკენ გასწია და ფიქრობდა, რომ ნილოსის სათავე სწორეთ ამ ტბებიდან და მდინარეებიდან იწყობა. არც ერთი თეთრი კაცი მას არ გაჰყვა, ყველანი ბარგის და სურსათის გადაზიდველები შავ-კანიანები იყვენ. მალე ესენიც მიიფანტ-მოიფანტენ, მხოლოდ ორიოდენი დარჩენ.

გავიდა წელიწადზე მეტი. ლივინგსტონის ამბავი აღარა




იკოდენ-რა. ერთხელ ზანზიბარში ერთმა შავ-კანიანმა, მადრიდა
 ნა აპზავი, რომ თეთრი ექიმი ცუდით დაჩხვებს და რომ მან
 თავისი თვალით ნახა მისი გვამი. ევროპიელების საელო სად-
 გომები და თვით სულთანის სასახლე შეიმოსა შავებით. ელ-
 ვის სისწრაფით მთელ არე-მარეს მოედო, რომ დიდებული
 მოგზაური და აფრიკის გამოკვლეველი მოკვდა. ინგლისიდან
 მაშინვე გაგზავნეს კაცები ლეიტენანტი იუნგის წინამძღო-
 ლობით საქმის გამოსაკვლევად. იუნგემ შეატყობინა ინგლისს,
 რომ ლივინგსტონის სიკვდილი მოგონილია მისივე მსახურე-
 ბისაგან. სოფელში მოუყვენ ამბავს თეთრ კაცზე, რომელიც
 ყველას საჩუქრებს ურიგებდა და რომელიც ახლა გამგზავრა
 შუაგულ აფრიკაში. ისინი აგრეთვე უამბობდნენ რა სხვანაირი
 ქუდი ეხურა მას. ამ ნიშნით იუნგი მიხვდა რომ ის კაცი ნამ-
 დვილათ ლივინგსტონი ყოფილა.

ლივინგსტონი მართლაც გამგზავრებულიყო ნიასის ტბის
 საშხრეთ ნაპირებისაკენ. იქ კიდევ სხვა ახალი ტბები აღმოე-
 ჩინა და ერთობ შეწუხებული და მოღალეული 1869 წელს
 მივიდა უჯიჯში. მან იქ წინდაწინ სურსათით ქარავანი გა-
 გზავნა, მაგრამ რომ მივიდა აღარაფერი დაუხვდა, ყველაფე-
 რი გაეცარცვათ. ამან არ შეაფერხა ლივინგსტონი, ის წავი-
 და უფრო შორს და აღმოაჩინა მდინარე, რომელიც ეგონა
 რომ ნილოსის ტოტია. ბოლოს აღმოჩნდა რომ ეს მდინარე
 კონგოს ტოტი იყო.

გაუყრელი ჭაობის დამპალმა ციებამ, შევიწროებულ
 მდგომარეობამ, უბოლოვო ხეტიალმა ლივინგსტონის ჯან-მრთე-
 ლობას ძალიან ავნო. ხშირათ ისე სუსტათ იყო, რომ ხე-
 ლით გადაჰყავდათ. უმეტესი ნაწილი მისი მსახურებისა გაი-
 ძვერა ხალხი გამოდგა. ლივინგსტონს გასცარცვამდენ ხოლმე
 და ისე მიატოვებდნენ. მონებით ვაჭრებს ლივინგსტონი ძა-
 ლიან ეჯავრებოდათ და შავ-კანიანებს სადაც კი მოასწრობ-
 დენ, ანადგურებდნენ და ჰკლამდნენ. როდესაც ლივინგსტონი
 ორი წლის შემდეგ დაბრუნდა უჯიჯში, ის აჩრდილი-და იყო,
 ჩონჩხს მიეგვანებოდა. აქ შენახული სურსათი სულ აღარა-
 ფერი არ დაუხვდა, გაეყიდნათ.

მას სასიამოვნო არაფერი არ მოელოდა: მარტო იყო,
 უსურსათოთ, დასუსტებული, ავითყოფი. მას მხოლოთ შერჩა
 რამდენიმე ერთგული შავ-კანიანი კაცი.



ერთხელ დილით მის ქოხში შევარდა ერთი შავკანიანი ყვირილით: „თეთრო, მე ვნახე ერთი ვინღე თეთრი“. და ისევ ისე გავარდა ქოხიდან. მალე მოისმა ლოფის სროლა... სულ ახლო... ახლო... ლივინგსტონი ქოხიდან გამოვიდა.

მას უახლოვდებოდა ქარავანი, მასზე ფრიალებდა ამერიკის დროშა. ქარავანს წინ მიუძღოდა თეთრი კაცი, რომელიც ლივინგსტონს მიუახლოვდა თუ არა, ქუდი მოიხადა და მდაბლათ თავი დაუკრა. ლივინგსტონი ახლა კი სიკვდილს გადურჩა!

ამ ბოლო ხანებში ლივინგსტონის მოგზაურობის დროს მუდამ ხმები დადიოდა მისი დაღუპვისა. ამიტომაც ამერიკის ერთმა გაზეთის გამომცემელმა გაგზავნა ერთი თავისი თანამშრომელი გენრი სტენლი ლივინგსტონის საძებნელათ. 1871 წელს სტენლი გამოვიდა ზანზიბარიდან ქარავანით და დიდი გაჭირებით უცნობ ადგილებში შეუდგა გზას. ორი თავისიანი თანამგზავრი გზაზე მოუკვდა. ბოლოს, იანვარში მივიდა უჯიჯში აღმოსავლეთით, სადაც ლივინგსტონი დასაღვლეთით ცხრამეტი დღით ადრე მისულიყო.

სტენლი გვიამბობს, რომ ყველა შეწუხება, ყველა ნაღველი დავივიწყე, ისე გამიტაცა სურვილმა, საჩქაროთ მომეძებნა ის ქოხი, სადაც ლივინგსტონი ცხოვრობდა.

მოდებნეს თუ არა მისი ბინა, მოჰყვენ თოფის სროლას. სწორეთ ამ სროლაზე გამოჩნდა დავით ლივინგსტონიც.

— მე ვხედავ ექიმს, ბატონო, — დაიყვირა სტენლის ერთ-ერთმა თანამხლებელმა, — რა ბებერი ყოფილა, წვერი სულ თეთრი აქვს.

ეს ნამდვილათ ლივინგსტონი იყო. თავზე ეხურა ჩაქვლეტილი ქუდი, შემოვლებული ჩაშავებული ბუზმენტით.

სამი თვის განმავლობაში სტენლი და ლივინგსტონი ერთათ იმყოფებოდნენ. ახლა ლივინგსტონს ყველაფერი ჰქონდა, არაფერი არ აკლდა. ევროპიდანაც ამბავი მოსდიოდა და შვილებისაგანაც წერილები. გეოგრაფიული საზოგადოების მონდობილობით ისა და სტენლი წავიდნენ ჩრდილოეთის მხრით ტანგანიკის ნაპირებისაკენ. სტენლი ცდილობდა ლივინგსტონი დაებრუნებინა დასასვენებლათ სახლში, მერე თუ მოინდომებდა, ხელ-ახლათ გამგზავრებულიყო. მაგრამ ის ამაზე ხმას



არავის აღებინებდა. ერთხელ განზრახულ საქმეს, რომ ნილო-
სის ტოტი აღმოაჩინოს, — არ გადუღგებოდა. ეგონა კიდევ,
რომ ეს ეს არის მიზანს მალე მივალწვევო.


1872 წელს, მარტში იგი გამოეთხოვა სტენლის, რომელმაც გაიარა ზანზიბარი და ისე წავიდა თავის სამშობლოში. მან მიიტანა ამბავი სად და როგორ დაუხვდა ლივინგსტონი. სტენლიმ თავდაპირველათ გაიარა ინგლისში, მაგრამ მას იქ კარგათ არ დაუხვდენ. მსწავლელები არ იჯერებდენ, რომ ამერიკის ექსპედიციამ ნამდვილათ იპოვა ლივინგსტონი და ამტკიცებდენ რომ შეუძლებელია, მაგრამ ბოლოს ირწმუნეს. მართებლობას უკვე გაეგზავნა ხალხი ლივინგსტონის მისაშველებლათ და ესენი შეხვდენ სტენლის, როდესაც ის უკვე ბრუნდებოდა ზანზიბარში.

ლივინგსტონი არა ერთხელ დარწმუნდა, რომ გეოგრაფიული საზოგადოება ურწმუნოთ ეკიდებოდა მას. ხშირათ ინგლისში მსწავლელები თავიანთ ოთახებში, რბილ სავარძელში გადასვენებულნი თავიანთ ნებაზე სცვლიდენ რუკაზე მისგან დაკვირვებით აღნიშნულ ადგილებს. ერთხელ მოხდა კიდევ ასე, რომ როდესაც მან უკანვე მოსთხოვა თავის გაგზავნილი რუკა, ერთმა მსწავლელმა, ვითომ და რუკას შესწორებისთვის, გასამრჯელოც მოსთხოვა.

გასცილდა თუ არა სტენლი ლივინგსტონს, ის ისევ ისე გაემგზავრა აფრიკის შუაგულ ადგილებისკენ. მან გამოიანგარიშა, რომ სულ წელიწად ნახევარი მოუნდებოდა მისგან განზრახულ საქმის დამთავრებას და ხოლო მაშინ დაბრუნდებოდა თავის სამშობლოში.

ტანგანიკის ტბასთან მივიდა და იქიდან გაჰყვა სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებს. ავათმოფობამ ისევ შეუშალა ხელი. თუმცა ძალიან ღონე-მიხდილი იყო, მაინც არ იშლიდა, სულ წინ მიდიოდა. მას განზრახვა ჰქონდა ბანგეოლის ტბას მიჰლწეოდა და იქიდან იმ მდინარეების ტოტებთან გასულიყო, რომლებიც უკვე აღმოაჩინა.

მაგრამ ამ ჭაობიან ადგილებში, სადაც წვიმები შეუწყვეტლივ მოდიოდა და სადაც მოწამლული ჰაერით გაჟღენთილი იყო არე-მარე ლივინგსტონს გამოეღია ძალ-ღონე: ჯოხიც კი, რომელიც შველოდა სიარულს, ახლა ამძიმებდა მას.



აღარც დღიურის წერა შეეძლო, მხოლოდ თვეების რიცხვებს აღნიშნავდა ხოლმე.

მაშინ მისმა ერთგულმა მეგობრებმა გააკეთეს საკაცე და ისე განაგრძეს მოგზაურობა. ესენი იყვნენ სამი შავ-კანიანები, რომელნიც რვა წლის განმავლობაში განუყრელათ მასთან იმყოფებოდნენ. როდესაც მათ მიაღწიეს სოფელ ილალის, ტანგანაიკიდან სამხრეთს, მათ მოგზაურობას ბოლო მოეღო. ერთხელ დღით ერთი ამ შავ-კანიანთაგანი გამოფარდა ქოხიდან, სადაც ლივინგსტონს ეძინა და დაუძახა თავის ამხანაგებს, როდესაც ყველანი შევიდნენ ქოხში, ქვეშაგები ცარიელი დახვდათ. ქვეშაგებ წინ დაჩოქილი იყო ლივინგსტონი, ხელები თითქოს სალოცავათ გულზე ეწყო და თავი დაყრდომილი ჰქონდა ხელებზე.

დავით ლივინგსტონი მომკვდარიყო.

მეგობრებმა მიახვეწეს ქვეშაგებზე და მოსალაპარაკებლათ გარეთ გამოვიდნენ.

დიდის გაჭირვებით, უგზო-უკვლოდ მიჰქონდათ ამ ერთგულ მეგობრებს თავიანთი საყვარელი ბატონის გვამი. ისინი გადადიოდნენ ქაობებს და მდინარეებს, ხან გარეულ პირუტყვებს ებრძოდნენ და ხან მჭრებებს. ასე იკვლევდნენ აღმოსავლეთისკენ გზას. ესენი შეუსვენებლივ, დაჟინებით მიდიოდნენ. მისი რუკები და დღიურები კარგათ შეინახეს. ერთმა მათგანმა კიდევც დასწერა ამ მოგზაურობის დღიური. სწორეთ შესანიშნავი აღწერაა ამ სამგლოვიარო მოგზაურობისა შუაგულ აფრიკიდან ოკეანემდის.

ინგლისის კონსული ზანზიბარში დაუხვდათ და იქიდან გემით გაასვენეს ლივინგსტონის გვამი. ამ მეგობარ შავ-კანიანებს, რომელთაც ცხრა თვის განმავლობაში გადმოჰქონდათ ლივინგსტონის გვამი, ინგლისის კონსულმა ერთი სიტყვითაც მადლობა არ გადაუხადა, ტბილი სიტყვაც არ გააგონა, და შავ-კანიანები თავიანთ ანაბარა მიანება.

ლივინგსტონი დასაფლავეს მდიდრულათ და დიდი დიდებით ვესტმინსტერში. შავ მარმარილოს ქვაზე დააწერეს ის სიტყვები, რომელიც თქვა მან მონებით ვაჭრობის შესახებ:

„ჩემი განმარტოვებული და დაფიქრებული ცხოვრება მათქმევინებს, რომ ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც უნდა



იყოს, ამერიკელი, ინგლისელი, თუ თათარი, რომელიც კი ვაჰკურნავს მონობით მოწამლულ ჰაერს“.


აფრიკის შესასწავლათ არავის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ლივინგსტონს. მისი მოგზაურობა შეადგენს მესამედს მთელ ქვეყნიერებაზე ატლანტიელი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანამდის. იგი შესანიშნავი მეცნიერი იყო. ის იკვლევდა ადგილობრივ ხალხის ცხოვრებას, სქამდა და სვამდა მათთან ერთად, ცხოვრობდა მათ ქოხში და მათ სიხარულში და ნადველში მოწილადე იყო. ის იყო მკვლევარი, ექიმი და ღვთის სიტყვის მქადაგებელი. იმ არაბებსაც კი, რომელნიც მონებს ყიდულობდნენ სწამდათ იგი, როგორც გამოჩენილი ექიმი.

ლივინგსტონის ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი სიკვდილის შემდეგ აფრიკა გაივსო მოგზაურებით და მისიონერებით. მთელი ევროპა მონობის შემოღებაზე წინააღმდეგი გახდა და გამოიწვია საერთო ზიზღი. და ყველა ეს მოხდა ლივინგსტონის წყალობით. თუ აფრიკაში ადამიანებით ვაჭრობა მონობა მოისპო, ეს ღვაწლი სრულათ მიუძღვის შოტლანდიის საქსოვ ჯარხნის პატარა მუშა დავითს.

აფრიკაში—ამ საოცნებო ქვეყანაში ჯერ კიდევ ცოცხლათ არის ლივინგსტონის მოგონება. იქაურ მკვიდრ მცხოვრებლებს სათაყვანოთ ჰყავთ იგი. მათ სხვა ბევრი ევროპელებიც უნახავთ, მაგრამ ლივინგსტონი მიაჩნიათ უზენაეს არსებათ.

(დასასრული)

ან. წერეთლისა.





კავკასიური
კავშირები

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის

უგეგმდებოდა სპეციალურ და სპეციალურ კაზეტა

სახალხო ფურცელი

წელიწადი მებუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი ლამაზება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

ს ა მ ს ვ ი ბ ნ ს

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ცალკე ნომერი უგეგმან ერთი შუური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ЦУРЦЕЛИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З. Горделадзе.

ი 367/1



ქართული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მახუთე წელიწადი.

ჯეჯილი დასსებუღას 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთსელ, ჟურნალში ორი
განყოფილება, ჰატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება
4 მან, ქალაქ გარეთ (გაგსავნით) 5 მან.

ნახევეარი წლით 3 მან, ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძართონ:

ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძეს.

მისხილოვში — ვლად. ჩიქოვანს.

სამტრედიაში — რაფდენ ნახეიშვილს.

სიღნაღში — ენ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და — ნიკო წუწუნავის.

ფოხტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ. — გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის 1914 წლის ხელის მოძვერლებს

ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის
სახუკრათ გაეგზავნებათ

დასურათებული წიგნი.

„კუნწულა“